European Commission

განათლებისა და ტრენინგების გზით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების გავრცელების გზამკვლევი მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის

სამადლობელი

გზამკვლევი მოამზადა ევროპის კომისიამ განათლებისა და ტრენინგების მეშვეობით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების გავრცელების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მხარდაჭერით. ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ECORYS-ის კონსულტანტები. კომისია მადლობას უხდის:

Ahmet Murat Kılıç, Council of Europe
Alina Bargaoanu
Arminas Varanauskas
Cassie Hague, the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD)
Charo Sádaba, Iberian Digital Research, University of Navarra
Claus Hjorth
Divina Frau-Meigs, Savoir Devenir
Eleni Kyza
Gabriella Thinsz, The Swedish Educational Broadcasting Company
Giacomo Mazzone
Irene Andriopoulou
Jens Vermeersch, European Federation of Education Employers
Juliane von Reppert-Bismarck, Lie Detectors
Kamil Mikulski, Kosciuszko Institute
Kari Kivinen, European Union Intellectual Property Office (EUIPO)
Norman Röhner, ALL DIGITAL
Onno Hansen-Staszyński
Sally Reynolds, Media and Learning Association
Sandra Troia
Stacey Featherstone, META
Thomas Nygren
Veni Markovski
Vitor Tomé

დაბეჭდილია საქართველოში

ევროპის კომისია პასუხს არ აგებს ამ გამოცემის ხელახალი გამოყენების შედეგებისათვის.

Luxembourg: Publications Office of the European Union, 2023
© European Union, 2023

ევროპის კომისიის ხელახალი გამოყენების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება ხდება კომისიის დოკუმენტების ხელახალი გამოყენების შესახებ კომისიის 2011 წლის 12 დეკემბრის 2011/833/EU გადაწყვეტილების საფუძველზე (OJ L 330, 14.12.2011, გვ. 39).
თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამ დოკუმენტის ხელახალი გამოყენება ნებადართულია Creative Commons Attribution 4.0 International (CC- BY 4.0) ლიცენზიის შესაბამისად (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/).

თუ რომელიმე შემადგენელი ნაწილი არ არის ევროპის კავშირის საკუთრება, მისი გამოყენების ან ხელახალი ბეჭდვისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს უშუალოდ საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა.

Print	ISBN 978-92-68-03356-2	doi: 10.2766/042600	NC-09-22-371-KA-C
PDF	ISBN 978-92-68-03357-9	doi: 10.2766/56701	NC-09-22-371-KA-N

სარჩევი

1. წინასიტყვაობა.....6

2. შესავალი.....8

3. გზამკვლევის გამოყენება საგანმანათლებლო და ტრენინგების პროცესში.....9

ვისთვის არის განკუთვნილი ეს გზამკვლევი?.....10

4. გზამკვლევში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტება 11

5. გარემოს შექმნა.....13

სწავლება და სწავლა ციფრულ სასკოლო გარემოში.....13

მითითებები და რჩევები – სკოლისა და საკლასო მეცადინეობის დაწყებამდე, მის განმავლობაში და მას შემდეგ.....15

აქტივობამდე
დაინტერესებული მხარეების ჩაბმულობა.....15

აქტივობის დროს.....19

აქტივობის შემდეგ.....19

6. ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება კლასსა და სკოლაში: გავხდეთ ციფრული მოქალაქეები.....20

როგორ დავიწყოთ ციფრული წიგნიერების სწავლება.....21

ციფრული წიგნიერების სწავლების მიზნები.....22

7. დეზინფორმაცია: რა არის ეს? 24

ალტერნატიული აქტივობის გეგმები განსჯისათვის.....25

დეზინფორმაციის მახასიათებლები.....26

რატომ ქმნიან და ავრცელებენ დეზინფორმაციას? 26

რა არის ფაქტების გადამოწმება? 28

რა არის მხილება?.....29

ინფორმაციის სანდოობის შეფასება. როგორ ამოვიცნოთ და გამოვიყენოთ სანდო წყაროები.....30

დეზინფორმაციის სხვადასხვა განზომილების გააზრება.....30

დეზინფორმაციის ეთიკური მხარე.....30

დეზინფორმაციის ეკონომიკური მხარე.....31

დეზინფორმაციის ზოგიერთი კოგნიტიური და ემოციური განზომილება.....32

8. სკოლასა და კლასში ციფრული წიგნიერების დონის განსაზღვრა და შეფასება: კონკრეტული რჩევები მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის..... 34

რა შეგვიძლია შევაფასოთ და რა უნდა შევაფასოთ?.....34

შეფასების ნაირსახეობები.....34

ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული ეფექტიანი მიდგომების შეფასება.....39

რესურსის თაობაზე.....39

აქტივობების გეგმები

გარემოს შექმნა

აქტივობების გეგმა 1: დეზინფორმაციასთან მუშაობა

აქტივობების გეგმა 2: სხვადასხვა თვალსაზრისის გაცნობა სხვადასხვა წყაროს მეშვეობით

განვავითაროთ ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევები კლასსა და სკოლაში: გავხდეთ ციფრული მოქალაქეები

აქტივობების გეგმა 3: მუშაობა ევროპის ციფრული უფლებებისა და პრინციპების დეკლარაციაზე

აქტივობების გეგმა 4: ციფრული კვალი

დეზინფორმაცია: რა არის ეს?

აქტივობების გეგმა 5: ფაქტია თუ მოსაზრება?

აქტივობების გეგმა 6: შევაფასოთ ინფორმაცია

აქტივობების გეგმა 7: გამოვიკვლიოთ, რა მიზნით იქმნება დეზინფორმაცია

აქტივობების გეგმა 8: განვიხილოთ მედიის თავისუფლება

აქტივობების გეგმა 9: გადავამოწმოთ ფაქტები

აქტივობების გეგმა 10: განვიხილოთ დეზინფორმაციის ტექნოლოგიური ასპექტები მოსწავლეებთან ერთად

აქტივობების გეგმა 11: განვიხილოთ დეზინფორ-მაციის ეკონომიკური ასპექტი

აქტივობების გეგმა 12: განვიხილოთ შეთქმულების თეორიები

რჩევები

გარემოს შექმნა

რჩევა 1: მოსწავლეების ჩაბმულობა

რჩევა 2: მშობლების ჩაბმულობა

რჩევა 3: სადავო საკითხების განხილვა

რჩევა 4: ემპათიის გამოხატვა

რჩევა 5: დებრიფინგი - მათი აზრი მნიშვნელოვანია

ინფორმაციის: რა არის ეს?

რჩევა 8: წყაროების გადამოწმება

რჩევა 9: ცვლილება

რჩევა 10: მუშაობა მხილებასა და პრევენციულ რეაგირებაზე

რჩევა 11: კავშირი ადამიანის უფლებებთან

განვავითაროთ ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევები კლასსა და სკოლაში: გავხდეთ ციფრული მოქალაქეები

რჩევა 6: თამაშები და თამაშით სწავლა

რჩევა 7: მიაქციეთ ყურადღება იმას, რასაც მოსწავლეები მიგანიშნებენ

სკოლასა და კლასში ციფრული წიგნიერების დონის განსაზღვრა და შეფასება: კონკრეტული მითითებები მასწავლებლებისა და აღმზრდელებისათვის

რჩევა 12: ურთიერთობა კოლეგებთან

რჩევა 13: მოსწავლეების ცოდნის შეფასება

რჩევა 14: გაიაზრეთ, რა არის შეფასების არსი

რჩევა 15: მოსწავლეების კვლევის უნარის შეფასება

რჩევა 16: ურთიერთობა უნივერსიტეტებთან

1. წინასიტყვაობა

სიამოვნებით გიზიარებთ მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის განკუთვნილ გზამკვლევს განათლებისა და ტრენინგების გზით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების ხელშეწყობის შესახებ. ეს გზამკვლევი ციფრული განათლების სამოქმედო გეგმის (2021-2027) ნაწილია და მისი შექმნის თაობაზე 2020 წლის სექტემბერში განვაცხადეთ. მისი გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალგაზრდებისათვის, რომელთაც ინტერნეტში თავიანთი ადგილი უნდა იპოვონ, რათა შეუფერხებლად იურთიერთონ და წვლილი შეიტანონ ჩვენს დინამიკურად განვითარებად დემოკრატიულ პროცესში.

პედაგოგთა და მასწავლებელთა ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, ერთობლივად ვცდილობთ ახალგაზრდებს კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ინტერნეტში ინფორმირებული არჩევანის გაკეთების, ასევე უსაფრთხოების მიზნით გარე ზემოქმედებისადმი მედეგობის გამომუშავების პირობები შევუქმნათ. ახალგაზრდებში ციფრული უნარებისა და კომპეტენციის ფორმირებისათვის მასწავლებლებისა და პედაგოგების როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

კომისიამ სწორედ ამ მიზნით შექმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც ეს გზამკვლევი შეიმუშავა. ამ ჯგუფში თავი მოვუყარეთ სამეცნიერო, ჟურნალისტური, სამაუწყებლო, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი წრეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლებს, რათა მათი ცოდნა და პირადი გამოცდილება გაგვეზიარებინა.

ექსპერტთა ჯგუფის საქმისადმი ერთგულება და მონდომება წინამდებარე გვერდებზე ნათლად ჩანს. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ამ გზამკვლევს მთელი ევროპის სკოლებში გამოიყენებენ.

ეს გზამკვლევი ახალახან შეიქმნა, თუმცა მუშაობა სუფთა ფურცლიდან არ დაგვიწყია, ციფრული წიგნიერების გავრცელება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა ევროკავშირის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხებია. ეს ცხადი გახდება, თუკი თვალს გავადევნებთ, როგორ ხორციელდება „სამოქმედო გეგმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ“, „ციფრული მომსახურების აქტი“ და „ბავშვებისათვის (BIK+) ინტერნეტის გაუმჯობესების სტრატეგია“ (განახლებული). განათლებისა და ტრენინგების პროცესში კვლავაც ვითვალისწინებთ იმ გამოცდილებას, რომელიც „ერასმუს+“ პროგრამის, ისევე, როგორც „ევროპული სოლიდარობის კორპუსისა“ და eTwinning-ის განხორციელებისას მივიღეთ. სწორედ ეს გაწეული შრომა უდევს საფუძვლად ჩვენს ამჟამინდელ მცდელობას, შევქმნათ ევროპის საგანმანათლებლო სივრცე.

ამასთან, სრულიად ნათელია, რომ უნდა განმტკიცდეს განათლებისა და ტრენინგების როლი ციფრული წიგნიერების გავრცელებასა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გზამკვლევის მიზანია მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის მარტივად გამოსაყენებელ ერთ დოკუმენტში მოუყაროს თავი როგორც სწავლების ამოცანებს, ისე პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის დადასტურებულად გამოსადეგ მეთოდებს და ამასთანავე, შემოგვთავაზოს ახალი იდეები, რომლებიც მასწავლებლებისა და ახალგაზრდებისათვის შესაძლოა გახდეს შთაგონების წყარო.

2022 წელი ევროპაში ახალგაზრდების წლად გამოცხადდა. სწორედ ახალგაზრდობის სწრაფვა მიღწევებისაკენ და იმედი, რომელსაც ისინი მომავალზე ამყარებენ, შთაგვაგონებს მე და ჩემს გუნდს, მუდმივად ვიფიქროთ ისეთი პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც მდგომარეობას შეცვლის.

გზამკვლევს ერთვის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო ანგარიში, რომელშიც განხილულია მისი შემუშავების დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებები და ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების უმთავრესი წამოწყებები, ასევე მიმოხილულია არსებული ჩარჩოები.

დიდ მადლობას ვუხდი ექსპერტთა ჯგუფს, რომელმაც ეს სამუშაო შეასრულა.

ეს გზამკვლევი გრძელი გზის ერთი მონაკვეთია და წინ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. გზამკვლევი კი ევროპის კომისიის მიერ დეზინფორმაციის ფენომენის საპასუხო ზომების ნაწილია.

მოგიწოდებთ, თქვენც ჩაებათ ამ საქმეში.

მარია გაბრიელი
ინოვაციების, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისარი

2. შესავალი

ციფრული წიგნიერების გავრცელება და საკლასო ოთახებსა და სკოლებში დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც დღეს არის. მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასში ან რა ტიპის სკოლაში ასწავლიან/სწავლობენ, მასწავლებლებს/პედაგოგებს და მოსწავლეებს გზის გაკვლევა სულ უფრო და უფრო რთულ ინტერნეტგარემოში უწევთ, რომელიც იმაზე მეტ წასაკითხ, მოსასმენ და სანახავ მასალას გვთავაზობს, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა შესაძლებელი.

ეს იძლევა როგორც ინფორმაციის მოძიების, ისე სხვებთან გაზიარების უპრეცედენტო შესაძლებლობას სკოლასა თუ მის გარეთ. ციფრული სამყარო სულ უფრო სწრაფად იკავებს ცენტრალურ ადგილს სწავლისა და სწავლების პროცესში. თუკი უწინ მხოლოდ სახელმძღვანელოები და ნაბეჭდი რესურსი გვქონდა, სწავლა კი მეტ-ნაკლებად ლოკალური იყო, დღეს სამყარო თითქოს ხელისგულზე გვაქვს.

მასწავლებლებო და აღმზრდელებო, სწორედ თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ახალგაზრდებს იმ კომპეტენციის შეძენაში, რომელიც მზარდ ციფრულ სამყაროში მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის საშუალებას მისცემს. ციფრულ სამყაროში საჭირო კომპეტენციის დაუფლება ცოდნის მიღების შეუდარებლად ფართო პერსპექტივას ხსნის. ციფრული ტექნოლოგიები თანდათან მოიცავს ყველა დარგს, გავლენას მოახდენს სულ უფრო მეტ პროფესიულ თუ პირად წამოწყებაზე. ციფრული უნარებისა და კომპეტენციის შეძენა ახალგაზრდებს, რომლებსაც თქვენ ასწავლით, შესაძლებლობას გაუფართოებს და XXI საუკუნის აქტიურ მოქალაქეებად გადააქცევს. ეს არის კომპეტენცია, რომელიც მათ უნდა შეიძინონ, ხოლო ამ გზამკვლევის მიზანია დაგეხმაროთ, რომ თქვენს მოსწავლეებს[1] ხელი შეაშველოთ.

ინფორმაციას, რომელსაც თქვენი მოსწავლეები საკლასო ოთახებსა თუ შინ ეცნობიან, უამრავი სხვადასხვა ავტორი ჰყავს და უამრავი წყაროდან მომდინარეობს. მათ თავიანთი შეხედულებები და, ზოგ შემთხვევაში, საკუთარი დღის წესრიგი აქვთ. მედიასა და საინფორმაციო გარემოში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა საჭიროება, რომ მოსწავლეებს, ერთი მხრივ, უფრო ადვილად მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე და, მეორე მხრივ, შეეძლოთ მისი დამუშავება, გაგება, მთლიანობაში აღქმა, სხვებისათვის გადაცემა, შეფასება, ასევე ინფორმაციის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნა და გავრცელება. წინამდებარე გზამკვლევში ამ უნარებს ციფრული წიგნიერება ეწოდება. თქვენი, როგორც მასწავლებლების/პედაგოგების უმთავრესი ამოცანა ამ პროცესში მოსწავლეებისათვის ხელის შეწყობაა.

მზარდი ციფრული სამყარო არაერთ შესაძლებლობას გვთავაზობს, თუმცა სიახლეებს გამოწვევები და რისკებიც ახლავს. Covid-19-ის პანდემიისა და 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის დროს ყალბი ინფორმაციის შეგნებულად თუ უნებლიედ გავრცელებამ შეგვახსენა, თუ რამდენად მოწყვლადი შეიძლება იყოს დემოკრატია ციფრულ ხანაში. ჯანსაღი დემოკრატია ემყარება საჯარო განსჯას, საზოგადოების მონაწილეობასა და კონტროლისა და ბალანსის სისტემას. დამაზიანებელი ინფორმაციით (malinformation), მცდარი ინფორმაციითა (misinformation) და დეზინფორმაციით (disinformation) ინფორმაციის წყაროების რეპუტაციის შელახვა არყევს დემოკრატიას. ამ გზამკვლევში განსაკუთრებული ყურადღება დეზინფორმაციას ეთმობა. იგულისხმება შემოწმებადი ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც ეკონომიკური სარგებლის ან საზოგადოების გამიზნულად მოტყუების მიზნით იქმნება და ვრცელდება და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება შეუძლია. თუმცა გზამკვლევში შემოთავაზებულთაგან მრავალი რჩევა, რომლებიც თქვენს მოსწავლეებს დეზინფორმაციის ფენომენისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების გააზრებაში უნდა დაეხმაროს, მცდარი ინფორმაციის მიმართაც გამოგადგებათ.

[1] ტერმინი „მოსწავლე“ მთელ გზამკვლევში გულისხმობს დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო საფეხურის მოსწავლეებს.

3. გზამკვლევის გამოყენება საგანმანათლებლო და ტრენინგების პროცესში

გზამკვლევი მასწავლებლებს/პედაგოგებს კონკრეტულ პრაქტიკულ რჩევებს სთავაზობს. თუმცა მასში მზა რეცეპტებსა და აქსიომებს ვერ ნახავთ. მისი მიზანი უფრო საკლასო ოთახებსა და მსგავს საგანმანათლებლო სივრცეებში სასწავლო პროცესისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევაა.

ტექნიკური ცნებების გასაგები განმარტებები და ფაქტების გადამოწმების საკლასო სავარჯიშოები თუ გჭირდებათ, რომლებიც „კარგი“ ონლაინჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს, ასევე თუ მოსწავლეების შეფასების მეთოდებს ეძებთ, აქ ბევრი რამ იქნება თქვენთვის საინტერესო.

ციფრული წიგნიერების ხელშეწყობა და დეზინფორმაციასთან გამკლავება ადვილი არ არის, ვინაიდან ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ, ციფრული კომუნიკაციისა და მედიის სფეროში მრავალი ახალი შესაძლებლობა ჩნდება. ეს გზამკვლევი არ გთავაზობთ ყველა იმ პრობლემის მოგვარების გზას, რომლიც საკლასო ოთახში შეიძლება წამოიჭრას. მისი მთავარი ამოცანაა, წვლილი შეიტანოს განათლებისა და ტრენინგების ისეთი მიზნების მიღწევაში, როგორებიცაა:

1. დეზინფორმაციის დინამიკისა და გამოვლინების ამოცნობის შემუშავება, აგრეთვე სარწმუნო ინფორმაციის მახასიათებლების დადგენა.

2. გააზრება იმისა, თუ როგორ შეიძლება მიაღწიო ციფრულ წიგნიერებას.

3. ინფორმაციის გაზიარება, თუ როგორ გამოვიყენოთ ციფრული ტექნოლოგიები გონივრულად და პასუხისმგებლობით.

4. მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების კომპეტენციის შეფასების საფუძვლიანი მეთოდების შემუშავება.

ამ მიზნების მისაღწევად, გზამკვლევის მომდევნო თავები ამგვარად არის სტრუქტურირებული:

თავი 4 *„გზამკვლევში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტება“* - მოიცავს ციფრულ წიგნიერებასა და დეზინფორმაციასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების განმარტებას.

თავი 5 *„გარემოს მომზადება“* - გთავაზობთ რჩევებს, როგორი უნდა იყოს გარემო საკლასო ოთახებსა და სკოლებში, რომ დეზინფორმაციასა და ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება გაადვილდეს. ასეთი რჩევები ეფუძნება და უკავშირდება უახლეს კვლევებსა და მასწავლებლების/პედაგოგების უკუკავშირს, მაგალითად, მასწავლებლების/პედაგოგებისა და მოსწავლეების როლს, უსაფრთხო და საინტერესო სასწავლო გარემოს შექმნას და ა.შ.

თავი 6 *„ციფრული წიგნიერების უნარების ჩამოყალიბება საკლასო ოთახსა და სკოლაში: გავხდეთ ციფრული მოქალაქეები“* - განიხილავს კონკრეტულ ბარიერებს, გამოწვევებსა და სასწავლო მიზნებს; აქვე მოცემულია ამავე თემასთან დაკავშირებული საინტერესო პრაქტიკული საკითხები. ამ ნაწილში წაიკითხავთ მოსაზრებებს, თუ როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი ციფრული წიგნიერების ეფექტიან განვითარებას.

თავი 7 *„დეზინფორმაცია: რა არის ეს? “* – განიხილავს დეზინფორმაციის სხვადასხვა ასპექტს და გვთავაზობს მათთან გამკლავების საუკეთესო გზებს.

თავი 8 *„სკოლასა და საკლასო ოთახში ციფრული წიგნიერების დონის განსაზღვრა და შეფასება: კონკრეტული რჩევები მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის“* – განიხილავს შეკითხვებს, რომლებიც ყველა მასწავლებელს/პედაგოგს გონებაში უტრიალებს: როგორ უნდა შეფასდნენ მოსწავლეები? ეს გზამკვლევი გთავაზობთ რეკომენდაციას, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების დონე და ციფრული წიგნიერების ის ინიციატივები, რომლებსაც შესაძლოა, თქვენი სკოლაც იყენებს.

ამ გზამკვლევის მთელ ტექსტში შეხვდებით ფერად ველებს, რომლებიც ტექსტის კითხვის გაადვილებას ისახავს მიზნად. **მწვანე** ველებში პრაქტიკული სასწავლო რჩევებია მოცემული, **ლურჯ** ველებში - სასწავლო აქტივობების გეგმები, **წითელ** ველებში - სხვადასხვა გაფრთხილება, ხოლო **ნარინჯისფერ** ჩანართებში - სასარგებლო მოსაზრებები. გაითვალისწინეთ, რომ არცერთი გაფრთხილება, რომელსაც აქ ამოიკითხავთ, კონკრეტული საკითხებისათვის თავის არიდებისაკენ არ მოგიწოდებთ, ისინი მიანიშნებს, რომ ზოგიერთი საკითხი შედარებით რთულია და მათ სწავლებას მეტი მომზადება სჭირდება.

ვისთვის არის განკუთვნილი ეს გზამკვლევი?

გზამკვლევი განკუთვნილია მასწავლებლებისა და პედაგოგების სხვადასხვა კატეგორიისათვის, პირველ ყოვლისა, დაწყებითი და საშუალო საფეხურის სკოლის მასწავლებლების/პედაგოგებისათვის. სადაც ეს შესაძლებელია, გზამკვლევში რჩევები სპეციფიკური მიზნების მიხედვითაა დახარისხებული. უმეტესწილად, გზამკვლევის თქვენს ინდივიდუალურ გარემოებებთან მორგება მოგიწევთ. ტერმინებს „პედაგოგი“ და „საკლასო ოთახი“ ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ. რჩევების ნაწილი შეიძლება მშობლების[2] და/ან საზოგადოების წევრებისათვისაც სასარგებლო იყოს და არაფორმალურ და არაოფიციალურ გარემოშიც გამოგადგეთ.

გზამკვლევი შედგენილია იმისათვის, რომ თქვენს პირად გარემოებებს მოარგოთ, მაგრამ, ამასთანავე, მისი გამოყენება შეგიძლიათ თქვენს კოლეგებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან; გამოგადგებათ, მაგალითად, ფსიქოლოგებთან, ბიბლიოთეკარებსა და სოციალურ მუშაკებთან ერთად მუშაობისათვის. ეს შესაძლოა, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს და გააუმჯობესოს თქვენი შრომის შედეგი. სასკოლო პროცესს მეტად ამდიდრებს სკოლის ხელმძღვანელობის, მშობლების, პროფესიონალი ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა. ამგვარ მიდგომას გზამკვლევში არაერთხელ შეხვდებით.

დაბოლოს, იმედი გვაქვს, ეს გზამკვლევი თქვენთვის სასარგებლო იქნება, ყოველდღიურ მუშაობაში გამოგადგებათ და ინფორმირებული, ფართო შესაძლებლობის მქონე და საქმიანი ევროპელი ციფრული მოქალაქეების ახალი თაობის აღზრდაში დაგეხმარებათ.

[2] სიტყვა “მშობლები” მთელ დოკუმენტში სხვა მზრუნველ პირებსაც გულისხმობს.

4. გზამკვლევში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტება

ყოველივე იმის აღსანიშნად, რასაც ინტერნეტში ვაწყდებით, მრავალი ტერმინი გამოიყენება. სასარგებლო იქნება, ზოგიერთ ტერმინზე შევჩერდეთ და მათი მნიშვნელობა განვიხილოთ. პრაქტიკოს პედაგოგებს მათი ცოდნა კოლეგებთან, მოსწავლეებსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან დისკუსიისას გამოადგებათ. ამ განმარტებებს, უმთავრესად, საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტებსა და ყოვლისმომცველ პროგრამებს დავესესხეთ, თუმცა შევამოკლეთ, რათა წასაკითხად უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

ალგორითმები: ციფრულ პლატფორმებში ალგორითმები ის ინსტრუმენტებია, რომლებიც მომხმარებელს კონტენტს იმის მიხედვით აწვდის, თუ რა არის ამ მომხმარებლისათვის რელევანტური და მოსაწონი.

ხელოვნური ინტელექტი (სისტემა) (Artificial Intelligence): კომპიუტერული ან სამანქანო პროგრამა, შექმნილი ისეთი მოქმედებების შესასრულებლად, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანის ინტელექტს მოითხოვს, მაგ., სწავლის ან ლოგიკური მსჯელობისათვის.

ბოტი: ავტომატიზებული პროგრამა ინტერნეტში, რომელიც მომხმარებლებთან წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად ურთიერთობს.

ჩიპფეიკი (Cheapfakes): პროგრამულად დამუშავებული მედია, რომელიც პირობითი და ხელმისაწვდომი ხერხებით შეიცვალა (მაგალითად, სახეების ჩანაცვლებით).

სამოქალაქო ჟურნალისტიკა: იმ პირთა ჟურნალისტური საქმიანობა, რომლებიც არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მაგრამ ინფორმაციას საიტების, ბლოგებისა და სოციალური მედიის საშუალებით ავრცელებენ.

სატყუარა შინაარსი (Clickbait): შინაარსი, რომლის მთავარი მიზანი მომხმარებლის ყურადღების მოზიდვა და ბმულის მეშვეობით კონკრეტულ გვერდზე გადასვლის მოტივაციის აღძვრაა.

მხილება (Debunking:): მოქმედება დეზინფორმაციის შექმნისა და გავრცელების შემდეგ, რომლის მიზანია ამ ინფორმაციის გასწორება და სიცრუისათვის ნათლის მოფენა.

დიპფეიკი (Deepfakes): ადამიანის ან მოვლენის გამოსახულება ან ვიდეო- და აუდიოჩანაწერი, რომელიც შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ და რეალობას არ შეესაბამება, თუმცა რეალურისაგან მისი გარჩევა ხშირად შეუძლებელია. დიპფეიკი უფრო დახვეწილია, ვიდრე ჩიპფეიკი.

ციფრული მოქალაქეობა (Digital citizenship): აქტიურად, ხანგრძლივად და პასუხისმგებლობით მონაწილეობა ადგილობრივი, ეროვნული, გლობალური და ციფრული ონლაინგარემოს ყველა - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ კულტურათაშორის დონეზე.

ციფრული კვალი (Digital footprint): იმ მონაცემთა კვალი, რომელიც დატოვეს ინტერნეტმომხმარებლებმა, მათ შორის ვებგვერდების გამოყენებით, ელექტრონული ფოსტით მიმოწერითა და სხვა ინფორმაციის გაზიარებით. ციფრული კვალი შეიძლება გამოიყენო ადამიანის ონლაინაქტივობისა და მისი მოწყობილობების დასადგენად.

ციფრული წიგნიერება (Digital literacy): უნარი, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხოდ და სათანადოდ ინტეგრირდე და იურთიერთო, ასევე მოიპოვო, მართო, გაიაზრო, შეაფასო, შექმნა და გაავრცელო ინფორმაცია. ის გულისხმობს კომპეტენციებს, რომლებსაც ინფორმაციულ წიგნიერებასა და მედიაწიგნიერებას, კომპიუტერულ ან ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ წიგნიერებას უწოდებენ. ც.წ. მოიცავს ციფრულ სამყაროში აქტიურ სამოქალაქო ჩაბმულობას და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას.

ციფრული პედაგოგიკა (Digital pedagogy): ინოვაციური ციფრული მეთოდებისა და კონცეპტუალური მიდგომების გამოყენება. მისი მიზანია ადაპტაციური და პერსონალიზებული სწავლების, ახალი შემოქმედებითი მეთოდების დანერგვის, სწავლის გამოცდილების გამდიდრებისა და შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობა. შეინიშნება, რომ ციფრული პედაგოგიკა განათლების, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსის შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას ემხრობა.

დეზინფორმაცია (Disinformation): დადასტურებულად ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც იქმნება, ქვეყნდება და ვრცელდება ეკონომიკური სარგებლის მიღების ან საზოგადოების გაწბრახ მოტყუების მიზნით. დეზინფორმაციას საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება შეუძლია.

დახშული სივრცე (Echo chambers): გარემო, რომელშიც მომხმარებლის მოსაზრება, პოლიტიკური სიმპათია ან რწმენა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, განმტკიცდება მსგავსი რწმენის ან იდეოლოგიის მქონე თანამოაზრეებსა და იმგვარ წყაროებთან ხშირი კონტაქტით, რომლებიც მსგავსი რწმენითა და იდეოლოგიით ხასიათდებიან.

ფაქტების გადამოწმება (Fact-checking): ინფორმაციის სისწორისა თუ სიყალბის გადამოწმების პროცესი.

ფილტრის ბუშტი (Filter bubble): სიტუაცია, რომელშიც მომხმარებელი მხოლოდ იმ ახალ ამბებს და ინფორმაციას ისმენს ან ხედავს, რომლისაც სწამს და რომელსაც ამჯობინებს. ეს შედეგი შესაძლოა გაძლიერდეს იმ პირების ან გვერდების გავლენით, რომელთა მიმდევარიცაა ონლაინმომხმარებელი; ასევე იმ ალგორითმების მეშვეობით, რომლებიც კონტენტს მას წინარე ქცევის, უპირატესობის მინიჭებისა და პარამეტრების მიხედვით სთავაზობს.

დამაზიანებელი ინფორმაცია (Malinformation): ფაქტობრივად სწორი ინფორმაცია, რომელიც ზიანის მიყენების მიზნით გამოიყენება.

მედია და ინფორმაციული წიგნიერება: ინფორმაციის საზოგადოების სასიკეთოდ გააზრების უნარი; ინფორმაციის, მედიისა და ციფრული კომუნიკაციების გამოყენებისას კრიტიკულობის შენარჩუნების უნარი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში წვლილის შესატანად; ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და მათით სარგებლობის უნარი.

მედიაწიგნიერება: მედიასთან წვდომის, მედიისა და მედიაშინაარსის სხვადასხვა ასპექტის გააზრებისა და კრიტიკული შეფასების, ასევე სხვადასხვა კონტექსტში კომუნიკაციის დამყარების უნარი.

მიმი: ისეთი გამოსახულება, ვიდეო, ტექსტის ნაწილი და სხვ., რომელიც, როგორც წესი, იუმორისტულია და მომხმარებლები სწრაფად აზიარებენ და ავრცელებენ, ხშირად - მცირეოდენი სახეცვლილებით.

მცდარი ინფორმაცია (Misinformation): დადასტურებულად მცდარი ინფორმაცია, რომელსაც მიზანმიმართულად კი არ ავრცელებენ, თავად მომხმარებლები აზიარებენ, რადგან სიმართლე ჰგონიათ.

ფიშინგი (Phishing): შეტევა, რომელიც ფულის ან იდენტობის მითვისების მიზნით მომხმარებელს გამოსძალავს პირად ინფორმაციას, მაგალითად, საკრედიტო ბარათის ნომერს, საბანკო მონაცემებს ან პაროლს ისეთი ვებგვერდების გამოყენებით, რომლებსაც მოტყუებით კანონიერად ასაღებენ.

პრევენციული მხილება (Prebunking): დამაჯერებელი არგუმენტის გაქარწყლება მის გავრცელებამდე.

წყარო (Source): ინფორმაციის საწყისი ადგილი ან ამბის პირველწყარო.

ტროლი: პირი, რომელიც სხვებს შეგნებულად შეურაცხყოფს ან თავს ესხმის ღირსების შემლახველი კომენტარებით. ტროლების ფერმა ან ქარხანა ინტერნეტში ტროლების ინსტიტუციონალიზებული ჯგუფია, რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ მოსაზრებასა და გადაწყვეტილებაზე.

გადამოწმება (Verification): ვებგვერდის, ელექტრონული მისამართის, ანგარიშისა და ინფორმაციის ავთენ-ტურობისა და ნამდვილობის დადგენის პროცესი.



5. გარემოს შექმნა

ამ თავში მოცემულია რჩევები, თუ როგორ უნდა შეიქმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეებს ციფრული წიგნიერების დაუფლება გაუადვილდებათ და რომელიც მათ დამაზიანებელი და მცდარი ინფორმაციის, განსაკუთრებით კი დეზინფორმაციისადმი მედეგობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში შეუწყობს ხელს.

ეს რჩევები მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვისაა და სხვადასხვა სასკოლო საფეხურს (მაგალითად, დაწყებითსა და საშუალოს) მიესადაგება. აქ მოცემულია მითითებები და რჩევები, თუ როგორ გადალახოთ ის გამოწვევები, რომლებიც, როგორც მასწავლებელს/პედაგოგს შეიძლება შეგხვდეთ. აქვეა სხვადასხვა აქტივობის გეგმები, რომლებიც სწავლების პროცესში შესაძლოა, შთაგონების წყაროც კი გახდეს. ეს რჩევები მიემართება საგანმანათლებლო ციკლის სამ ნაწილს, პერიოდებს **სკლასო მეცადინეობის დაწყებამდე, მეცადინეობის დროს და მისი დასრულების შემდეგ.**

სწავლება და სწავლა ციფრულ სასკოლო გარემოში

უპირველესად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არ არის აუცილებელი ტექნოლოგიების ექსპერტობა, რომ მოსწავლეებს ციფრული წიგნიერების მიღწევაში დაეხმაროთ. რა ტექნიკური საშუალებებიც არ უნდა გქონდეთ საკლასო ოთახში, მაინც შეგიძლიათ მათთან ვრცლად განიხილოთ, რა შესაძლებლობა და რისკი ახლავს ციფრულ სამყაროს და რატომაა კარგი, შეგვეძლოს იქ თავმოყრილი ინფორმაციის სარწმუნოობის შეფასება.

ყველა ეფექტიანი სასწავლო პროცესის მსგავსად, აქაც მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს შევუქმნათ ისეთი დაცული გარემო, რომელშიც შეძლებენ თავიანთი შეხედულებების გამოთქმასა და მეცადინეობაში აქტიურად მონაწილეობას. მათ მოსწონთ, როდესაც თანატოლები და მასწავლებლები ამჩნევენ და უსმენენ, ისიც სურთ, მეტი შეიტყონ ციფრული სამყაროს შესახებ, რომელსაც საკმაოდ კარგად იცნობენ. პოტენციურად, ეს სამყარო მათ საშუალებას აძლევს მოიპოვონ დიდი მოცულობის ინფორმაცია, გაეცნონ განსხვავებულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე და გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და რელიგიური ბარიერების გარეშე იურთიერთონ. ამის მიუხედავად, მათ უმრავლესობას არ აქვს ციფრული სამყაროს შესაძლებლობის სრულად გამოყენებისა და პოტენციური საფრთხეების აღმოჩენისათვის საკმარისი კომპეტენცია და გამოცდილება.

მოსწავლეებთან რთულ და ზოგჯერ კი სადავო საკითხებზე სამუშაოდ თქვენ, უდავოდ, იყენებთ გარკვეულ მეთოდებს. 1–ელი ჩანართი გთავაზობთ საგანმანათლებლო მეთოდებს, რომლებიც თქვენთვის შესაძლოა ნაცნობი იყოს ან სულაც უცნობი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული წიგნიერების სფეროში ისინი აშკარად გამოსადეგია.

ჩანართი 1: სწავლება და სწავლა სკოლის ციფრულ გარემოში - რამდენიმე სასარგებლო რჩევა

შესაძლოა, მუშაობისას გამოგადგეთ აქ მოცემული საკმაოდ გავრცელებული მეთოდები, რომლებიც სწავლებისა და სწავლის დროს გამოიყენება.

სპირალური სასწავლო გეგმა. ნებისმიერი საგნის სწავლება, მათ შორის, ციფრული წიგნიერებისა, ნებისმიერ სასკოლო ასაკში არის შესაძლებელი, იმ პირობით, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი სასწავლო მეთოდი იქნება გამოყენებული. ამგვარი მიდგომის თანახმად, ძირითადი ცნებები სასწავლო პროცესის განმავლობაში ისე მეორდება, რომ მათი ცოდნა თანდათან გაღრმავდეს ან გამოყენების ნაირსახეობები მოიცვას. ეს შესაძლებლობას გვაძლევს მოსწავლეებს ადრეულ ეტაპზე გავაცნოთ ის ცნებები, რომელთა სწავლებაც, ტრადიციულად, მოგვიანებით იყო გათვალისწინებული.

შებრუნებული გაკვეთილი. თანატოლებისაგან სწავლის შერეული სასწავლო სტრატეგიის ნაირსახეობა, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეების ჩაბმულობას და მოიცავს მასალის შესწავლას მედიის გამოყენებით როგორც საკლასო ოთახში, ისე მის მიღმა. ხშირად მოსწავლეები მასალას შინ კითხულობენ, ხოლო საკლასო ოთახში პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობენ.

შერეული სწავლება. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის მხრივ, კოვიდ-19-ის პანდემია განათლების სისტემისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. შერეულ სწავლებას აქვს პოტენციალი, რომ დასწრებული და დისტანციური სწავლება ერთ მთლიანობად გადააქციოს.

სწავლა კეთებით. ეს საგანმანათლებლო მეთოდი ეფუძნება მოსაზრებას, რომ უკეთესად ვსწავლობთ მაშინ, როცა „ვაკეთებთ“ იმას, რასაც ვსწავლობთ.

სწავლა თამაშით და თამაშის ელემენტების გამოყენება. ეს მეთოდი გულისხმობს თამაშის სტრატეგიის (თამაშის ელემენტების) ან ჩვეულებრივი და ონლაინთამაშების (თამაშით სწავლის) გამოყენებას, რათა მოსწავლეს სწავლა გაუადვილდეს და მათი ჩაბმულობა გაუმჯობესდეს. მაგალითად გამოდგება სასწავლო თამაშები მედიის მიკერძოებულობის შესახებ ცოდნის გასაუმჯობესებლად.

ჩვეულებრივ, ციფრული ხელსაწყოები მოსწავლეებს თავისუფლების უფრო მაღალ ხარისხს სთავაზობს, როდესაც, მაგალითად, აპლიკაციებს იყენებენ, სოციალურ მედიაში ურთიერთობენ ან ინტერნეტში ეძებენ რამეს. ეს თავისუფლება მათთვის შესაძლებლობაა, უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია მოიპოვონ. ეს სასარგებლოა მათი განათლებისათვის; ამასთან, შესაძლოა არასათანადო, შეუფერებელი და პოტენციურად სახიფათო ციფრული ქცევა შეიძინონ. ამდენად, თქვენი, როგორც მასწავლებლის/პედაგოგის უმთავრესი ამოცანაა დაეხმაროთ მათ, აირიდონ მავნე ქცევა და შეიძინონ ისეთი ცოდნა და უნარები, რომ თავად აიცილონ ეს საფრთხე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლასში არსებულ განსხვავებებს, რომლებიც მოსწავლეებს მათი წინარე გამოცდილების, შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის სახით აქვთ. აქ იგულისხმება, რომ მათ წინასწარ უნდა გავაცნოთ ციფრული შესაძლებლობები და მათგან მომდინარე საფრთხეები და განვსაზღვროთ ურთიერთობის წესები (მაგალითად, გამოვრიცხოთ პირადი შეურაცხყოფა და მოსაზრების გამოთქმა „მე“–ზე აქცენტირებით)[3]. სასარგებლო იქნება, თუ წინასწარ შეიქმნით წარმოდგენას, რა დამოკიდებულება აქვთ თქვენს მოსწავლეებს (და მათ თანატოლებს) იმ საკითხების მიმართ, რომლებიც კლასში უნდა განიხილოთ. ამასთან, გაცნობიერებული უნდა გქონდეთ, რომ მოსაზრებები შეიძლება ბუნებრივად განსხვავებული იყოს. ასევე სასარგებლო იქნება, თუ გეცოდინებათ, რომელი წყაროებიდან ეცნობიან ახალ ამბებსა და ინფორმაციას და რომელ სოციალურ მედიას იყენებენ. რომელ სოციალურ მედიასა და ონლაინპლატფორმებს იყენებენ მოსწავლეები და რა აზრის არიან მათზე? ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად ფრთხილი ტაქტიკა დაგჭირდებათ და შეკითხვებზე პასუხები ზოგჯერ ანონიმურიც უნდა იყოს. სასარგებლო იქნება, თუ შეაფასებთ, რამდენად კარგად ესმით მათ ისეთი საკითხები, როგორებიცაა კონფიდენციალურობის პარამეტრები, ციფრული თანამეგობრობის წესები და რეგულაციები, რა არის კანონით დაშვებული, რა - აკრძალული და ა. შ. (იხ. ასევე თავი 8).

მაღალია ალბათობა, რომ მოსწავლეებს ინტერნეტში მცდარი და პოტენციურად მავნე ინფორმაცია შეხვდებათ. ამიტომ კარგი იქნება, თუ წინასწარ მოემზადებით ისეთ ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეიძლება მათთვის, მათი თანატოლებისა და მეგობრებისათვის სადავო აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში იმისათვისაც მზად უნდა იყოთ, რომ ემოციებსა და ირაციონალურ ქცევასთან მოგიწიოთ გამკლავება. სასურველია, თავდაპირველად ზოგადად განიხილოთ ის სადავო საკითხები, რომლებიც მათ ბოლო ხანებში მედიაში შეხვდათ.

გაითვალისწინეთ...

- მოსწავლეებმა ციფრული საშუალებები რეგულარულად უნდა გამოიყენონ, როგორც მრავალფეროვანი განათლების მიღების შემადგენელი ნაწილი.
- შეამცირეთ გაკვეთილზე თქვენი სალაპარაკო დრო და გამოიყენეთ უფრო მეტად ინტერაქციული, მაგალითად, სწავლების სოკრატესეული გზა, შეკითხვებისა და პრობლემების განხილვაზე დამყარებული მეთოდები, ასევე კოლაბორაციული და კოოპერირებული სწავლების სხვადასხვა მეთოდოლოგია.
- სერიოზულად მოეკიდეთ ყველა მოსწავლის პრობლემებსა და პრეტენზიებს, პატივი ეცით მათ შეხედულებებს.
- არ გამოგრჩეთ იმ მოსწავლეების სპეციალური საჭიროებები, პრობლემები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებთანაც უნდა იმუშაოთ და ყველაფერი ეს სწავლების ამოსავალ წერტილად აქციეთ.
- ჯგუფთან მუშაობა ააგეთ მოსწავლეების წინარე გამოცდილებასა და მოსაზრებებს შორის განსხვავებების გათვალისწინებით, ეს შედეგს გააუმჯობესებს. შეარჩიეთ მეთოდები, რომლებიც ამ მრავალფეროვნებას წარმოაჩენს.
- მოსწავლეებთან კონფიდენციალურობის თემაზე ისაუბრეთ. დარწმუნდით, რომ გაცნობიერებული აქვთ მისი მნიშვნელობა და იციან, როგორ დაიცვან. ამ პრობლემას ციფრული წიგნიერების განხილვისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.
- ინტერნეტში სარწმუნო ინფორმაციის მოძიებაში მოსწავლეებს თქვენი დახმარება დასჭირდებათ, თუმცა სათანადო უნარ-ჩვევები თავადაც უნდა შეიძინონ.
- თანატოლების მიერ ერთმანეთისაგან სწავლის სტრატეგია სწავლების ყველა მიმართულებით ეფექტიანია, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების სფეროშიც. აქ მასწავლებელმა დამხმარის როლი უნდა მოირგოს, რადგან თქვენი ხელმძღვანელობა ურთიერთსწავლების დროს აუცილებელია.
- მოზარდებს ინტერნეტის გამოყენების ბევრი უნარი ადრეულ ასაკში შინ აქვთ შეძენილი.
- მსჯელობისათვის ადგილობრივი ან მსოფლიოში მომხდარი მოვლენები გამოიყენეთ. როგორც წესი, რაც უფრო ახალია ინფორმაცია, მით უფრო მაღალი იქნება მოსწავლეების ინტერესი და მოტივაცია.
- შეარჩიეთ თქვენი კლასისათვის შესაფერისი კონტექსტი, სტრუქტურა და მიდგომა, მოიფიქრეთ, როგორ უნდა განმარტოთ საკითხი. რამდენად მოტივირებული იქნებიან თქვენი მოსწავლეები? ზოგ მოზარდს წინააღმდეგობრივ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა არ ეხალისება.
- შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი წესები ყოველი კლასისათვის. ის, რაც ერთ ჯგუფთან ამართლებს, სხვა ჯგუფთან არ გამოდგება. თუკი ეს შესაძლებელია, წესები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ. ამგვარად ისინი მათ საკუთარ წესებად დაისახავენ.
- თქვენი მოსაზრებები სხვა მასწავლებლებს/პედაგოგებს უნდა გაუზიაროთ და მათთან ერთად განიხილოთ.

[3]მაგალითები: “მე ვფიქრობ, რომ...”, “მე მიმაჩნია, რომ...”, “მე ასე მგონია...”, “მე გეთანხმებით, რომ...”

მითითებები და რჩევები - სკოლისა და საკლასო მეცადინეობის დაწყებამდე, მის განმავლობაში და მას შემდეგ

ციფრული წიგნიერების სწავლისა და დეზინფორმაციისადმი მედეგობის უნარის ათვისების პოზიტიური გამოცდილების შეძენის პროცესში უნებლიე კონფლიქტებისა და პოლარიზაციის არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად სასარგებლო იქნება გაკვეთილამდე, გაკვეთილის დროს და მას შემდეგ პერიოდებისათვის ქვემოთ მოცემული რჩევების გათვალისწინება.

რჩევა 1: მოსწავლეების ჩაბმულობა

თუ გყავთ რთულად სამართავი მოსწავლეები, შეგიძლიათ ისინი აქტივობების მომზადებაში ჩააბათ და გარკვეული დავალებების შესრულებაზე პასუხისმგებლობაც დააკისროთ. დადებითმა შედეგმა შეიძლება გაგაოცოთ.

რჩევა 2: მშობლების ჩაბმულობა

მშობლების ჩაბმულობა შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს. მათთან კონტაქტის დასამყარებლად საუკეთესო დრო მასწავლებლების/პედაგოგებისა და მშობლების წლის პირველი შეკრება იქნება, რომელსაც, როგორც წესი, ბევრი მშობელი ესწრება. თუ მშობლებმა წინააღმდეგობა გაგიწიეს, მნიშვნელოვანია მხარდაჭერა სკოლაში მოძებნოთ, მაგალითად, სკოლის დირექტორთან.

გაფრთხილება: სადავო საკითხები

მოსწავლეებთან სადავო საკითხების განხილვა ხშირად სასარგებლოა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე დეზინფორმაციას შეეხება, თუმცა ამგვარი საკითხები მეტ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვს. მაგალითად, ასეთი საკითხებია:

- COVID-19 და ვაქცინები
- რუსეთის შეჭრა უკრაინაში
- ისტორიული უსამართლობის შემთხვევები წარსულში და ახლა
- დანაშაული და სასჯელი
- გენდერულ თანასწორობასა და სქესობრივ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები
- მიგრაცია, უმცირესობები, რასიზმი და რელიგია
- კლიმატის ცვლილებები და გლობალური დათბობა
- კოლონიალიზმი, მონობა, ანტისემიტიზმი, ჰოლოკოსტის უარყოფა
- მგრძნობიარე ეროვნული საკითხები

აქტივობამდე
დაინტერესებული მხარეების ჩაბმულობა

გაითვალისწინეთ...

- ამა თუ იმ მგრძნობიარე ან სადავო საკითხის გაკვეთილზე წამოჭრამდე თქვენი გეგმა სკოლის ხელმძღვანელობასთან უნდა განიხილოთ.
- ვიდრე კლასში ინტერნეტის სამყაროსთან დაკავშირებულ ისეთ პოლიტიკურ ან მგრძნობიარე საკითხს წამოჭრიდეთ, რომელიც მოსწავლეების ოჯახებში განხილვის საგანი აუცილებლად გახდება, სკოლაში დანერგილი გზითა და არსებული არხებით უნდა გაესაუბროთ მშობლებს და ძალისხმევის კოორდინაციას შეეცადოთ (იხ. რჩევა 2).
- უნდა იმუშაოთ სკოლის ფსიქოლოგსა ან სოციალურ მუშაკთან კოორდინირებით, თუ ამ დარგის სპეციალისტების დახმარება გჭირდებათ (მაგალითად, თუ მოსწავლეები ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებენ ან განსახილველი საკითხი აფორიაქებთ).



გაეცანით ციფრული წიგნიერების „სათამაშო მოედანს“

დასაწყისისათვის კარგი იქნება, თუ გაარკვევთ, რა მედიაჩვევებით ხასიათდება საზოგადოება, რომელსაც თქვენი სკოლა ემსახურება. ეს საშუალებას მოგცემთ მათთან მუშაობა უკვე არსებული მოდელების საფუძველზე დაიწყოთ. ამ მიზნით შეგიძლიათ დაესწროთ სკოლის ღონისძიებებს, რომლებშიც ადგილობრივი და პოპულარული მედიებიც მონაწილეობენ, რათა კომუნიკაცია დაამყაროთ და იქ მყოფ კოლეგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს დააკვირდეთ. ადგილობრივთა შორის შეიძლება გამოიკვეთოს გარკვეული რადიკალური სექტორი, რომლისათვის დამახასიათებელი მოსაზრება (ჯგუფური) შეიძლება კლასში მოულოდნელად გამოითქვას. სასარგებლო იქნება, თუ ამგვარი მგრძნობიარე საკითხების არსებობის შესახებ წინასწარ გეცოდინებათ.

მართალია, ციფრული წიგნიერება საკმაოდ ახალი დარგია, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ამ სფეროში ბევრი ისეთი ინიციატივა დაგროვდა, რომელიც მუშაობის დროს გამოგადგებათ, რადგან სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს. მაგალითად:

- არსებობს ციფრული წიგნიერების სწავლებითა და დეზინფორმაციასთან ბრძოლით დაინტერესებული და შესაბამისი გამოცდილების მქონე მასწავლებელთა და პედაგოგთა საერთაშორისო ქსელები, რომელთა უმეტესობაც უფასოა და მათ მაუსის ერთი დაწკაპუნების გარდა არაფერი გაშორებთ.
- ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა ევროკომისია, იუნესკო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი, გაეროს ბავშვთა ფონდი და მედიაკავშირები, გვთავაზობს რესურსებს, ქსელებსა და გზამკვლევებს, რომლებიც თქვენს საქმიანობას უფრო მრავალფეროვანს გახდის.
- ეროვნულ თუ ადგილობრივ ინიციატივათა დიდი რაოდენობა პროფესიონალი ჟურნალისტებისა და ჟურნალისტური ორგანიზაციების მონაწილეობასაც გულისხმობს. ზოგიერთი ადგილობრივი ჟურნალისტი შესაძლოა, უკვე არის კიდეც ჩაბმული მათში. შესაბამისი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ანგარიშში, კერძოდ, ამ გზამკვლევის დანართებში.
- შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმის გარკვევა, თუ რამდენად დაუჭერს მხარს ადგილობრივი თუ ეროვნული მთავრობა მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების გავრცელებას და ამ მიმართულებით სამოქალაქო ორგანიზაციების ძალისხმევასა და პროგრამებს.
- ამ სფეროში ადგილობრივი ბიბლიოთეკებიც გააქტიურდნენ და საზოგადოებასთან მუშაობაში დახმარება მათაც შეუძლიათ.

ჩანართი 2: მუშაობაში გარეშე აქტორების, მათ შორის, პროფესიონალი ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და სხვადასხვა პლატფორმების მონაწილეობის პოტენციურად დადებითი და უარყოფითი მხარეები/რისკები სკოლებისა და მასწავლებლების/პედაგოგებისათვის

თქვენ არ უნდა შემოიფარგლოთ მხოლოდ ციფრული წიგნიერების სწავლებით. სასწავლო პროცესში ვირტუალური და/ან ფიზიკური მესამე მხარეების (მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების) პროგრამების ინტეგრირებაც შეგიძლიათ.

პოტენციური დადებითი მხარეები

- გარეშე პირებს შეუძლიათ დამატებითი ცოდნა თუ სპეციალისტის დასკვნა გაგიზიარონ.
- გარეშე პირებს შეუძლიათ მასწავლებლებსა და პედაგოგებს ექსპერტებთან საურთიერთო ქსელების შექმნის საშუალება მისცენ.
- გარეშე პირებს ხშირად სკოლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.
- გარეშე პირებს თავიანთ სფეროებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება აქვთ.
- აკადემიური სფეროს/უნივერსიტეტების წარმომადგენლებს აქვთ იმის გამოცდილება, თუ „რა მუშაობს“ და „რატომ“.
- გარეშე პირების ჩაბმამ შეიძლება მოსწავლეების ინტერესი გაზარდოს.

პოტენციური უარყოფითი მხარეები და რისკები

- საჭიროა დამატებითი ადმინისტრირება, მაგ., ლოგისტიკური საკითხების მოგვარება და სკოლის ადმინისტრაციისა და სხვების თანხმობის მიღება.
- შეიძლება გაძნელდეს დაგეგმვა.
- შეიძლება გაიზარდოს ხარჯი.
- მესამე მხარეს შეიძლება ჰქონდეს კომერციული, პოლიტიკური ან მონაცემთა შეგროვების მიზანი.

ინტერნეტში შეგიძლიათ იპოვოთ ორგანიზაციები, რომლებმაც შექმნეს სკოლაში სწავლების რესურსი.

გაითვალისწინეთ:

დაუკავშირეთ სასკოლო აქტივობები უმთავრეს საყოველთაო და ეროვნულ ქსელებსა თუ ღონისძიებებს. საერთაშორისო დონეზე ეს შეიძლება იყოს უსაფრთხო ინტერნეტის დღე (აღინიშნება თებერვალში), ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო დღე (2 აპრილი) ან ცნობიერების ამაღლების კამპანიები (ევროპის მედიაწიგნიერების კვირა, იუნესკოს გლობალური მედიისა და საინფორმაციო წიგნიერების კვირა). eTwinning-ის ევროპული ქსელი მასწავლებლებს/პედაგოგებსა და სკოლებს ევროპის მასშტაბით ურთიერთობის საშუალებას აძლევს. 2021 წლის თემა იყო „მედიაწიგნიერება და დეზინფორმაცია". იგი მთავარი კონფერენციითა და eTwinning-ის შესახებ გამოცემული წიგნით შეჯამდა, რომელშიც ამ საკითხზე არსებული საუკეთესო გამოცდილება აისახა.

უნდა მოიძიოთ ადგილობრივი, ეროვნული და/ან საერთაშორისო დაფინანსება თქვენი ინიციატივებისათვის. ევროპის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს პროგრამა „ერასმუს+" და „ევროპის სოლიდარობის კორპუსი".

რჩევა 3: სადავო საკითხების განხილვა

სადავო საკითხების განხილვა სასწავლო პროცესს ამდიდრებს და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. თქვენი აზრით, რომელია ის ყველაზე სადავო საკითხები, რომლებიც კლასთან უნდა განიხილოთ? რა არის თქვენი კოლეგების აზრი? სადავო საკითხების სწავლების რა გამოცდილება აქვთ მათ? შეგიძლიათ თუ არა ერთმანეთს სხვადასხვა სასარგებლო რესურსი გაუზიაროთ? შესაძლებელია თუ არა აქტივობის გაფართოება და შესაბამისი საკითხების განხილვა სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე? შესაძლებელია თუ არა კლასში და შეკრებებზე „ექსპერტების" მოწვევა (დასწრებული ან დისტანციური ფორმით)?

თქვენი გადასაწყვეტია, კლასში მსუბუქ განხილვას ჩაატარებთ თუ მოსწავლეებთან უფრო ღრმა და საფუძვლიან განხილვას მოაწყობთ. ეს ასევე დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკსა და იმ გამოცდილებაზე, რომელიც სადავო საკითხების განხილვის სფეროში გაქვთ.

როცა სადავო საკითხების განხილვას გეგმავთ, უმჯობესი იქნება, თუ ნაკლებად სადავო საკითხებით დაიწყებთ და უფრო რთულ საკითხებზე მოგვიანებით, თანდათანობით გადახვალთ. ეს საშუალებას მოგცემთ, გაარკვიოთ, როგორ რეაგირებენ მოსწავლეები და არიან თუ არა მზად, რომ უფრო მგრძნობიარე საკითხები განიხილონ (იხ. აგრეთვე შეთქმულების თეორიების შესახებ აქტივობების გეგმა 12).

ინტერაქციული მეთოდები დაგეხმარებათ ისეთი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც კლასისათვის სადავო საკითხების განხილვისას სასარგებლო იქნება. ამ მეთოდებს შორის არის ჩუმი განხილვა, პირადი მოსაზრებების გამოთქმა, აქტიური მოსმენა, ღია დისკუსიები, კომპლექსური ინსტრუქციები, როლური თამაშები და კოოპერირებული მუშაობა. ეს მეთოდები იმ მოსწავლეების დისკუსიაში ჩაბმაში დაგეხმარებათ, რომლებსაც შესაძლოა, აქტივობა მობეზრდეთ და ინტერესი დაეკარგოთ.

კლასში მრავალფეროვანი სასწავლო ატმოსფეროს შექმნა

გაითვალისწინეთ...

- არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ პოტენციურად მოსწავლეებს შესაძლოა ჰქონდეთ ფსიქო-სოციალური მოტივაცია, დაიკავონ განსხვავებული პოზიცია, არ უნდა გამოგრჩეთ თითოეული მოსწავლის სპეციფიკური მგრძნობიარობა, საზოგადოებისათვის მგრძნობიარე საკითხები და პოლარიზაცია; ასევე უნდა გაითვალისწინოთ საკუთარი პოზიცია, ემოციები და თქვენთვის მგრძნობიარე საკითხები.
- ამა თუ იმ საკითხის განხილვამდე უნდა გაეცნოთ მოსწავლეების იდეებსა და მოსაზრებებს. თუ საჭიროა, გამოკითხვა შესაძლებელია ანონიმურიც იყოს.
- თუ გყავთ მოსწავლეები, რომლებთანაც მუშაობა შეიძლება გაგიძნელდეთ, ჩააბით გაკვეთილის მომზადებაში და კონკრეტული დავალებები მიეცით, ეს მუშაობას გაგიადვილებთ.
- კლასის ნდობა უნდა მოიპოვოთ. ნდობა შეიძლება ის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს, რომელიც მოსწავლეებს (და მასწავლებელსაც) საშუალებას მისცემს მგრძნობიარე და სადავო საკითხები უფრო კომფორტულ გარემოში განიხილონ. ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ამგვარი საკითხები ჯგუფში (მოსწავლეებს შორის) უნდა განიხილებოდეს და მათი გაზიარება საჭირო არ არის. ურთიერთნდობა, ამ მხრივ, მუშაობას გაგიადვილებთ.
- შედარებით უფრო მგრძნობიარე საკითხების განხილვა მას შემდეგ უნდა მოაწყოთ, რაც კლასში ერთიანობის განცდა ჩამოყალიბდება. სადავო საკითხების განხილვა უმჯობესია ისეთ გარემოში, რომელშიც მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და იციან, რომ მათ ამჩნევენ და უსმენენ.
- თავდაპირველად მუშაობა წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით უნდა დაიწყოთ. დროთა განმავლობაში გეგმის მიყოლა ნაკლებად დაგჭირდებათ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მიდის მუშაობა კლასში და როგორია დინამიკა.
- უნდა დაიწყოთ პირისპირ ურთიერთობით (მასწავლებელი-მოსწავლე; მოსწავლე-მოსწავლე), შემდეგ კი გადახვიდეთ პატარა ჯგუფებთან მუშაობაზე და მხოლოდ შემდეგ - მთელ კლასთან ურთიერთობაზე.
- უნდა გამოიყენოთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმა. მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა იმის მიმართ, რასაც სწავლობენ.

აქტივობების გეგმა 1: დეზინფორმაციასთან მუშაობა

ქვემოთ მოცემულია სავარაუდო აქტივობები 45-წუთიანი გაკვეთილისათვის.

სათითაოდ მიმართვა (დაახლ. 5 წთ)

გაკვეთილის დაწყებისას ყოველ მოსწავლეს პირადად ჰკითხეთ, როგორ გრძნობს თავს და პასუხებს ყურადღებით მოუსმინეთ. ნათქვამს ნეიტრალურად მოეკიდეთ და უბრალოდ მადლობა გადაუხადეთ. სხვა მოსწავლეები ამ დროს ჩუმად უნდა იყვნენ. წესად დაამკვიდრეთ მოსწავლეებისათვის შეკითხვების შემთხვევითი რიგითობით დასმა.

შესავალი (დაახლ. 5 წთ)

ილაპარაკეთ დეზინფორმაციასთან დაკავშირებული თქვენი მოსაზრების ან გამოცდილების შესახებ ან დაუკავშირეთ დეზინფორმაციას რომელიმე ახალი ამბავი. მოკლე შესავალს უნდა მოჰყვეს შეკითხვა დეზინფორმაციის შესახებ, ვთქვათ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რამდენად სერიოზული ჰგონიათ ესა თუ ის დეზინფორმაცია ან, მათი აზრით, რა არის მისი მიზანი.

მოდელირებული განხილვა (დაახლ. 25წთ)

მოსწავლეებს ჩამოურიგეთ ფურცლები. მიეცით 90 წამი თქვენს შეკითხვაზე მოკლე პასუხის დასაწერად. უთხარით, რომ პასუხები ხმამაღლა უნდა წაიკითხონ. შემდეგ შემთხვევითი შერჩევის წესით აირჩიეთ ორი მოსწავლე, რომელთაგან ერთი მეორეს შეკითხვას დაუსვამს, მეორე კი პასუხს წაიკითხავს, შემდეგ კი როლებს გაცვლიან. განაგრძეთ ამ მეთოდით, სანამ პასუხებს ყველა მოსწავლე არ წაიკითხავს. თუ მოსწავლეების რიცხვი კენტია, წყვილში ერთ-ერთი თქვენ იქნებით. თუ დრო დაგრჩათ, სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ აზრი გამოთქვან.

დასკვნითი ნაწილი (დაახლ. 8 წთ)

გაკვეთილის ბოლოს ყოველ მოსწავლეს ჰკითხეთ, ისწავლა თუ არა რამე გაკვეთილზე. გამოიყენეთ სათითაოდ მიმართვის მეთოდი.

აქტივობების გეგმა 2: სხვადასხვა თვალსაზრისის გაცნობა სხვადასხვა წყაროს მეშვეობით

შენიშვნა: ამ აქტივობას 3x45 წუთი სჭირდება

გაკვეთილი 1: მოიძიეთ ისტორიული მოვლენა, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს ორი (ან მეტი) მხარის თვალთახედვით. მაგალითებად გამოდგება ომები დამოუკიდებლობისათვის, მაგ., სამოქალაქო ომი აშშ-ში, პირველი მსოფლიო ომი, კონფლიქტი ჩრდ. ირლანდიაში ან 90-იანი წლების ომი ბალკანეთში.

მოსწავლეებს მოკლედ გააცანით (ან ინტერნეტში მოაძებნინეთ) ორი განსხვავებული ნარატივი კონფლიქტის შესახებ. სთხოვეთ ყოველ ჯგუფს, ინტერნეტში იპოვოს 5-10 წყარო, რომლებიც კონფლიქტის თაობაზე შეიცავს ინფორმაციას - უმჯობესია, სხვადასხვა პოზიციის გამომხატველი (აქ შესაძლოა დახმარება დასჭირდეთ). ამ წყაროებით მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებმა კლასს მოკლედ უნდა გააცნონ. შეადარეთ და შეუპირისპირეთ ერთმანეთს ეს წყაროები. გააკეთეთ, მაგალითად, ასეთი განცხადება: „კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ X-ის წარმომადგენელმა ვერ შეძლო Y-ის მოსახლეობისათვის ადამიანის უფლებების სრულად დაცვა“.

გაკვეთილი 2: კლასი განცხადების მომხრე და მოწინააღმდეგე ორ ჯგუფად დაყავით. ყველაზე მარტივი იქნება, თუ მოსწავლეებს ჯგუფებში თქვენ გაანაწილებთ. ნახევარი „მომხრე“ ჯგუფში მოხვდება, მეორე ნახევარი - „მოწინააღმდეგე“ ჯგუფში.

ყოველმა მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ინტერნეტში მოძიებული 5-10 წყარო, რომლებსაც მისი ჯგუფი განცხადების მხარდასაჭერად თუ საწინააღმდეგოდ ორი ძლიერი არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად შეარჩევს. მოსწავლეებმა უნდა შეაგროვონ და ჩაიწერონ შესაბამისი მტკიცებულებები. გაკვეთილის პირველ ნახევარში ყოველი მოსწავლე ინდივიდუალურად იმუშავებს, შემდეგ კი არგუმენტებს თანამოაზრეების მცირე ქვეჯგუფებში (დაახლ. 4-6 მოსწავლე) გაუზიარებენ ერთმანეთს. ყოველმა ქვეჯგუფმა თავისი ხუთი ძირითადი არგუმენტით ციფრული პლაკატი უნდა შექმნას.

გაკვეთილი 3: ჯგუფები სრულყოფილ ფორმას აძლევენ თავიანთ პლაკატებს და კლასს წარუდგენენ. ყველა მოსწავლე აფასებს ყოველ არგუმენტს (ათბალიანი სკალით) და ასაბუთებს ყოველ შეფასებას წყაროებიდან მიღებულ მასალაზე დაყრდნობით. შეფასება შეიძლება ონლაინხელსაწყოების მეშვეობითაც. განიხილეთ მოვლენის ორივე მხარე ახალშექმნილ მცირე ჯგუფებში და სცადეთ მოიფიქროთ, წინააღმდეგობრივ საკითხთან დაკავშირებული რომელი თვალთახედვაა მართებული. დაფიქრდით, ხომ არ არის არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ინტეგრირების საშუალება, ხომ არ არის პოზიციების ერთმანეთთან დაახლოებისა და კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა?

საკითხის განხილვაში მოსწავლეების ჩასაბმელად ალტერნატიული მეთოდებიც არის, მაგალითად, (ვირტუალური) გალერეის დათვალიერება, სოკრატესეული მეთოდი, ტრადიციული დებატები, ღია განხილვა, ჯვარედინი დებატები და აკადემიური დებატები.

შენიშვნა: ეს მეთოდი თქვენი, როგორც მასწავლებლის/პედაგოგის აქტიურ ხელმძღვანელობას მოითხოვს.

აქტივობის დროს

გაითვალისწინეთ...

- საჭიროა კლასში ღია და მეგობრული გარემოს შექმნა და შენარჩუნება.
- ყურადღება უნდა მიაქციოთ საკითხის ფორმულირებას. არის სხვადასხვა საშუალება, რომ მოსწავლეებისათვის საკითხს აქტუალურობა შესძინოთ.
- აწარმოეთ პირადი დღიური, სადაც აღნიშნავთ, თუ როგორ რეაგირებენ მოსწავლეები გამომწვევი და სადავო საკითხების შემცველ სასწავლო მასალაზე. მოსწავლეებსაც შეუძლიათ აწარმოონ დღიურები, რომლებშიც ჩაწერენ, თუ რას ფიქრობენ.
- უნდა დააკვირდეთ კლასის ემოციურ რეაქციას. ეს შესაძლოა, მოსწავლეებისათვის მგრძნობიარე საკითხების დადგენაში დაგეხმაროთ. ზოგს შეიძლება რადიკალური მოსაზრებაც ჰქონდეს და კლასში მოულოდნელად გამოთქვას.
- დააკვირდით ჯგუფში თუ მის მიღმა არსებულ ტენდენციებს. ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ციფრულ მედიას სხვები „შეუფერებლად“ იყენებენ. ამის გამო ერთ ჯგუფს შესაძლოა, მეორის მიმართ ნეგატიური სტერეოტიპები ჩამოუყალიბდეს.
- დააკვირდით, რამდენად აძლიერებს თქვენი აქტივობა დინამიკას ჯგუფსა და ჯგუფებს შორის, ასევე თქვენსა და მოსწავლეებს და თვით მოსწავლეებს შორის.
- რაც შეიძლება ხშირად ესაუბრეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, განსაკუთრებით, როცა სადავო საკითხები განიხილება და მოსწავლეები არცთუ სანიმუშოდ იქცევიან.
- თავად მიეცით მაგალითი. უამბეთ, როგორ სრულყოფთ თქვენს ციფრულ წიგნიერებას, როგორც კერძო პირი (ან როგორც მასწავლებელი) და/ან როგორ იმოქმედა თქვენზე დეზინფორმაციამ. შესაძლოა, თავიანთი გამოცდილების გაზიარების სურვილი მათაც აღუძრათ.
- დააბალანსეთ კლასში მეგობრული გარემო და უსაფრთხო სივრცე. ღია გარემოს პირობებში მოსწავლეებს შეუძლიათ თქვან, რას ფიქრობენ და სხვებს თავისუფლად გაუზიარონ შეხედულებები და აზრები. თუმცა სხვების შენიშვნები შესაძლოა, საწყენი აღმოჩნდეს რომელიმე მათგანის ან ჯგუფისათვის.
- აუცილებელია რისკფაქტორების მონიტორინგი. აჩემებულ აზრებთან, მითებსა და მიკერძოებულ მიდგომებთან შებრძოლებამ შესაძლოა, მოსწავლეების გაუცხოება განაპირობოს. უთანხმოების გადალახვა შესაძლებელია დიალოგის გზით. ასევე მნიშვნელოვანია, მოსაზრებები არ იყოს ასოცირებული იმ პირებთან, რომლებიც მათ გამოთქვამენ. განხილვისას უნდა გამოიყენოთ თქვენი თვალთახედვის განმამტკიცებელი რამდენიმე ფაქტი.

აქტივობის შემდეგ

გაითვალისწინეთ...

- მოსწავლეებთან განვლილი მასალა უნდა განიხილოთ და გაარკვიოთ, რა მეტად მოეწონათ და რა - ნაკლებად.
- ახალი აქტივობა წინარე აქტივობებზე დაყრდნობით უნდა დაგეგმოთ და ამ პროცესში მოსწავლეები აქტიურად ჩააბათ.
- თუ დღიურში აღწერილი გაქვთ, როგორ რეაგირებდნენ მოსწავლეები სადავო საკითხებზე, განიხილეთ ეს ჩანაწერები სკოლის ფსიქოლოგთან, კლასის ხელმძღვანელსა ან სხვა პედაგოგებთან.
- უნდა ჩაატაროთ პრეზენტაციები სხვა კლასებში ან სკოლებში (შესაძლებელია ვირტუალურად).
- საჭიროა მოსწავლეების მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების უფრო ოფიციალური შეფასება და/ან სწავლისა და სწავლების დროს გამოყენებული მეთოდების შეფასება (იხ. გზამკვლევის თავი შეფასებების შესახებ).

რჩევა 4: ემპათიის გამოხატვა

უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად კარგი იქნება, თუ დააზღვევთ იმ მოსწავლის დაცინვასა და იზოლაციაში მოქცევას, რომელიც აღიარებს, რომ გარკვეული ტიპის დეზინფორმაციას, მაგალითად, რომელიმე გავრცელებულ შეთქმულების თეორიას სიმართლედ მიიჩნევს. ემპათია შეიძლება კარგი საწყისი წერტილი აღმოჩნდეს. მოსწავლე რისკავს, როდესაც აღიარებს, რომ გარკვეული ტიპის დეზინფორმაციის სჯერა. თქვენც შეგიძლიათ აღიაროთ, რომ მსგავსი სისუსტეები გაქვთ.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავიდან „ნაცნობებზე“ ილაპარაკებენ, რომ პირადი აღიარება შეარბილონ და თანატოლების კრიტიკა აიცილონ.

რჩევა 5: დებრიფინგი - მათი აზრი მნიშვნელოვანია

გამოჰკითხეთ, თუ რა მოსაზრებები, გამოცდილება და ემოციები აქვთ მოსწავლეებს. ჰკითხეთ, რა ისწავლეს და როგორ სურთ შეძენილი ცოდნის საფუძველზე სწავლის გაგრძელება.

6. ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარება კლასსა და სკოლაში: გავხდეთ ციფრული მოქალაქეები

რა არის ციფრული მოქალაქეობა და რატომ არის ის მნიშვნელოვანი?

ციფრული მოქალაქეები...

- გამოირჩევიან ისეთი უნარ-ჩვევებით, ქცევითა და ატრიბუტებით, რომლებიც მათ ონლაინსამყაროში უსაფრთხო, ეფექტიანი, კრიტიკული და პასუხის-მგებლობით მონაწილეობის საშუალებას აძლევს.
- სარგებლობენ ინტერნეტის სამყაროს სიკეთითა და შესაძლებლობით და ზიანის თავიდან აცილებაც შეუძლიათ.
- იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს აქტიური მოქალაქეობისა და სოციალური ჩაბმულობისათვის, სხვებთან სათანამშრომლოდ და პირადი, სოციალური ან კომერციული მიზნების შემოქმედებითად მისაღწევად.
- აცნობიერებენ ადამიანის უფლებებს და ძირითად ღირებულებებს, ასევე იმას, რომ ეს ღირებულებები (აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების უფლება, მონაწილეობა, ღირსება და ა. შ.) ერთნაირია ინტერნეტშიც და რეალურ ცხოვრებაშიც.

ციფრული მოქალაქეობა შეძენილი უნარების ნაკრებს გულისხმობს. როგორც რეალურ, ისე ციფრულ საზოგადოებაში, საჭიროა ძირითადი ცნებები, ინსტრუმენტები და კომპეტენციები, რომლებსაც თქვენი მოსწავლეები უნდა დაეუფლონ, რომ სწავლა გაუადვილდეთ. მოსწავლეებს ასევე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმარებათ. ამ პროცესში თქვენი როლი მნიშვნელოვანია.

ციფრული წიგნიერება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ციფრული ტექნოლოგიები, რომ *მოვიპოვოთ, დავამუშაოთ, გავიაზროთ, სრულყოთ, გადავცეთ, შევაფასოთ, შევქმნათ და გავავრცელოთ* ინფორმაცია უსაფრთხო და სათანადო საშუალებებით. გარდა ამისა, დღევანდელ საზოგადოებაში ციფრული წიგნიერება შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს აქტიურობაში, სწავლაში, წარმატებული კარიერის შექმნასა და სოციალური კონტაქტების დამყარებაში. ციფრული წიგნიერება, როგორც ასეთი, აქტიურ და სრულფასოვან ციფრულ მოქალაქედ ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ალბათ შეამჩნევდით, რომ მოსწავლეებში უკვე მეტ–ნაკლებად შეინიშნება ციფრული წიგნიერება. მაგალითად, მათი ნაწილი შედარებით ნაკლებს კითხულობს და წერს, მაგრამ კარგად ეხერხება ისეთი ციფრული შინაარსის შექმნა და გაგზავნა, როგორებიცაა ხმოვანი შეტყობინება და ფოტოსურათები. არიან ისეთებიც, რომლებსაც უჭირთ ტექნოლოგიების დაუფლება და ახლა ცდილობენ მათ სწავლასა და გამოყენებას. ამდენად, დისტანციური სწავლებისას მათთან კონტაქტი და ურთიერთობა გაძნელდება.

რჩევა 6: თამაშები და თამაშით სწავლა

სწორად დაგეგმილი თამაშები და თამაშით სწავლა განათლების შედეგებს აუმჯობესებს. ამ მეთოდს რამდენიმე დადებითი ფაქტორი აქვს, მათ შორის:

1. იგი შეესაბამება თანამედროვე მოზარდების ციფრული ცხოვრების სტილს.
2. დამატებით მოტივაციას აღუძრავს მოსწავლეებს, სწავლისა და სწავლების პროცესი კი სახალისო, შემოქმედებითი და საინტერესო ხდება.
3. მოქნილია და შესაძლებელია მისი ნებისმიერ კონტექსტსა და სასკოლო საგანთან მისადაგება. ამ მეთოდით შეიძლება რთული საკითხების ახსნაც გაგიადვილდეთ.

გაითვალისწინეთ...

- სთხოვეთ მოსწავლეებს, გაგიზიარონ მოსაზრებები, რა დადებითი ცვლილებების მოტანა შეუძლია ტექნოლოგიებსა და სოციალურ მედიას და როგორი პოზიტიური სივრცეები შეიძლება შეიქმნას მათი მეშვეობით იმ თემსა და საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობენ.
- მოსწავლეებთან უნდა განიხილოთ უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ შრომის ბაზარზე დასჭირდებათ. ციფრული უნარ-ჩვევები (მაგალითად, ციფრული ეკონომიკის, კოდირების, ალგორითმების ცოდნა, გამოთვლითი აზროვნება და სხვ.), ასევე რბილი უნარ-ჩვევები (მაგალითად, ინტერპერსონალური) აუცილებელია სამყაროში, რომელშიც ადამიანებს შორის ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია.
- სთხოვეთ მათ, ინტერნეტში მოიძიონ ზუსტი ინფორმაცია მოქალაქეობის საკითხებისა (მაგ., დემოკრატიის, ადგილობრივი არჩევნების, ადამიანის უფლებებისა და კლიმატური ცვლილებების) და იმის შესახებ, თუ რა შესაბამისი სივრცეებია ონლაინმონაწილეობისათვის.

- თუ კლასში ატმოსფერო ამის საშუალებას გაძლევთ (განსაკუთრებით, თუ მოსწავლეები მიჩვეული არიან პოლიტიკური საკითხების განხილვას), შეგიძლიათ ჰკითხოთ, შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური დეზინფორმაციის გავრცელება მედიის საშუალებით და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. შეიძლება თუ არა დეზინფორმაციამ გავლენა იქონიოს დემოკრატიული არჩევნების შედეგზე? როგორ? ხომ არ იციან მაგალითი?
- შეგიძლიათ მიაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაციის სარწმუნო წყაროების ბმულები იმისათვის, რომ სოციალურ და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნონ. უმჯობესი იქნება, თუ ამ წყაროებს თავად მოძებნიან და შედეგებს თქვენთან განიხილავენ.
- ყურადღება უნდა მიაქციოთ მოსწავლეების ციფრულ კეთილდღეობას. ანუ, უნდა დააკვირდეთ, რამდენად დადებითად ან უარყოფითად აისახება ციფრული ინსტრუმენტები თქვენი მოსწავლეების ჯანმრთელობაზე (ფსიქიკურსა თუ ფიზიკურზე) და მათ ურთიერთობაზე თანატოლებსა და ოჯახის წევრებთან.

როგორ დავიწყოთ ციფრული წიგნიერების სწავლება

ციფრული წიგნიერების სწავლება და სწავლა თანამედროვე საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესია. ამის მიუხედავად, ზოგჯერ თავს იკავებთ ხოლმე მოსწავლეებისათვის ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევების შესაძენად საჭირო ნაბიჯების გადადგმისაგან, რადგან შესაძლოა, კარგად ვერ ერკვეოდეთ ან მიგაჩნდეთ, რომ ტექნოლოგიებს მოსწავლეები უკეთესად იცნობენ. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, აუცილებელი არ არის, ტექნოლოგიებში ექსპერტის დონეზე იყოთ, რომ ციფრული წიგნიერება ასწავლოთ, რადგან ციფრული წიგნიერება ბევრად მეტია, ვიდრე ამა თუ იმ მოწყობილობის გამოყენების უნარი.

ჩანართი 3: როგორ ერკვევით ტექნოლოგიებში?

ნუ გგონიათ, რომ ტექნიკურ საკითხებში ყველა მოსწავლე საფუძვლიანად ერკვევა. ტექნოლოგიების საკმარისი ცოდნა და ციფრული ტექნოლოგიების სრულყოფილად გამოყენების კომპეტენცია ყველა ახალგაზრდას როდი აქვს. ციფრული უნარ-ჩვევები და ცოდნა ზოგს საკმაოდ განვითარებული აქვს, სხვებს კი ნაკლებად და ამიტომ მარტივი ციფრული დავალებების შესრულებაც კი უჭირთ. ციფრული სამყაროს აღქმა ზოგჯერ ახალგაზრდებისათვისაც რთულია. შეიძლება ისინი დახშულ სივრცეში აღმოჩნდნენ, მაგრამ არც კი იცოდნენ, „ეს როგორ მოახერხეს“; ტექნოლოგიებს შეიძლება ყოველდღიურად იყენებდნენ, მაგრამ არ ესმოდეთ, რა როგორ მუშაობს და რატომ აწოდებს მათ ალგორითმი ამა თუ იმ შინაარსს. მოსწავლეებს ტექნიკური დახმარება ყოველთვის არ სჭირდებათ და ასეთ შეთავაზებაზე ზოგჯერ უარსაც ამბობენ, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ ვიღაც, ვინც წაეშველება, რომ გაერკვნენ ინფორმაციის იმ უზარმაზარ ნაკადში, რომელსაც რეგულარულად იღებენ. ასევე სჭირდებათ დახმარება, რომ განასხვაონ რიგითი ფაქტები (ფაქტოიდები) ნამდვილი ცოდნისაგან და სიმართლის მტკიცება მტკიცებულებისაგან.

გაითვალისწინეთ...

- მასწავლებელი/პედაგოგი კი ბრძანდებით, მაგრამ ნუ დაითრგუნებით იმის გამო, რომ ყველაფერი არ იცით - ვერც გეცოდინებათ, სამაგიეროდ, ნამდვილად შეგიძლიათ შექმნათ სათანადო გარემო კრიტიკული განხილვის ხელშეწყობისა და მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის.
- უნდა განიხილოთ ციფრული საკითხები, რომლებიც ნამდვილად მნიშვნელოვანია თქვენი მოსწავლეებისათვის. მიეცით გულახდილობისა და თავიანთ ინტერესებზე საუბრის საშუალება, მათთან ერთად შეადგინეთ გაკვეთილის გეგმა იმ მოწყობილობებისა და ციფრული სივრცეების გამოყენებით, რომლებსაც უკეთ იცნობენ.
- მოსწავლეებთან უნდა განიხილოთ ინტერნეტში ქცევის წესები. მათ უნდა ისწავლონ, როგორ გახდნენ პასუხისმგებლობიანი მოქალაქეები და პოზიტიური სოციალური აქტორები კლასსა და კლასს მიღმა.

რჩევა 7: მიაქციეთ ყურადღება იმას, რასაც მოსწავლეები მიგანიშნებენ

ციფრული წიგნიერების სწავლებისას გაითვალისწინეთ მოსწავლეების გამოცდილება. ბავშვები და მოზარდები ინტერნეტში პრობლემებს (საწყენი შეტყობინებები, პირადი ცხოვრების საკითხები, ხელმისაწვდომობა, სიძულვილის ენა და ა.შ.) ყოველდღე აწყდებიან. მათი საწუხარი და ყოველდღიური გამოცდილება საფუძვლად უნდა დაედოს განსახილველი საკითხების შერჩევას, რათა გაკვეთილები რელევანტური და ცხოვრებაში გამოსადეგი იყოს. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლემ თავი უხერხულად ან გაკიცხულად არ უნდა იგრძნოს. ასე კლასში ბუნებრივი გარემო და ნდობა ჩამოყალიბდება, თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი სათანადოდ წარიმართება.

ციფრული წიგნიერების სწავლების მიზნები

ქვემოთ მოყვანილია ციფრული წიგნიერების სწავლების კონკრეტული მიზნები დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო საფეხურებისათვის. ეს მიმოხილვა შეიძლება მუშაობის პროცესში დაგეხმაროთ. ისინი ემყარება აღიარებულ ყოვლისმომცველ დოკუმენტებს, მაგალითად, ევროპის ციფრული უნარ-ჩვევების ჩარჩოსა (DigComp2.2[4]) და ფინეთის ახალი წიგნიერების სწავლების შედეგებს[5]:

დაწყებითი სკოლის მოსწავლეს...

- შეუძლია ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება თავისთვის საინტერესო საკითხებისა და მოვლენების შესახებ.
- სხვისი დახმარებით შეუძლია შეაფასოს, რამდენად სარწმუნო და გამოსადეგია ინფორმაცია.
- ესმის, რომ ინტერნეტში ყველა სახის ინფორმაცია და შინაარსი მოიპოვება, მათ შორის, მცდარი ინფორმაციაც და დეზინფორმაციაც.
- ესმის, რა განსხვავებაა დეზინფორმაციას, მცდარ ინფორმაციასა და დამაზიანებელ ინფორმაციას შორის.
- იცნობს პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის ძირითად პრინციპებს.
- იცის მედიაგარემოში პირადი ცხოვრების დაცვის სხვადასხვა მეთოდის შესახებ.
- გაცნობიერებული აქვს, რომ მოიხმარს მედიაშინაარსს და რომ მიღებული მომსახურება დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან.
- შეუძლია მოიძიოს მედიაშინაარსი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს უფასოდ ან ნებართვის საფუძველზე.
- შეუძლია აღწეროს მედიის გამოყენების ჩვევები და იმსჯელოს თავის ცხოვრებაში მედიის როლის შესახებ.
- შეუძლია ციფრული ინსტრუმენტების სათანადოდ და უსაფრთხოდ გამოყენება კონკრეტული აუდიტორიისათვის მასალის მოსამზადებლად.
- შეუძლია მედიაშინაარსის შექმნა და გაზიარება.
- იცის, როგორ მოეპყროს პატივისცემით თანამოსაუბრეს ინტერნეტში და მოიძიოს ზუსტი ინფორმაცია.

საშუალო სკოლის მოსწავლეს...

- ესმის, რომ ციფრული შინაარსი, საქონელი და მომსახურება შეიძლება საავტორო უფლებებით იყოს დაცული.
- შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს, თუ რამდენად სანდო და სარწმუნოა ინფორმაციის წყარო და ციფრული შინაარსი.
- შეუძლია სხვების დახმარებით შეაფასოს სხვადასხვა ტიპის მედიაშინაარსი, როგორც ინფორმაციის წყარო და იმსჯელოს, თუ რამდენად გამოსადეგი და სარწმუნოა ის.
- გაცნობიერებული აქვს სოციალური მედიის, როგორც ინფორმაციის წყაროს, ბუნება და სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომის მნიშვნელობა.
- ესმის, რომ საძიებო პროგრამები, სოციალური მედია და შინაარსის გამავრცელებელი პლატფორმები ხშირად ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს იყენებენ და აწვდიან შინაარსს, რომელიც მორგებულია კონკრეტული მომხმარებლის გემოვნებასთან და მისით არის განპირობებული.
- შეუძლია გააანალიზოს, მედიის მოხმარების რა მოდელებს იყენებს თავად.
- შეუძლია კვლევის საფუძველზე მოიპოვოს, გადაამუშაოს და გაავრცელოს ინფორმაცია სათანადო მოდელებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ესმის, რომ ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მრავალი აპლიკაცია აგროვებს და დაამუშავებს ინფორმაციას (მაგალითად, პირად, ქცევით და კონტექსტურ მონაცემებს), თუ რას ნახულობს და მოიპოვებს მომხმარებელი. ეს ინტერნეტში ადამიანების ქცევის (მაგალითად, სოციალურ მედიაში მოწონების გამოხატვის, Google-ში ძიების) და რეალური ცხოვრების (მაგალითად, ყოველდღიური საქმიანობისა და საზოგადოებრივი

[4] https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC128415

[5] https://okm.fi/en/new-literacies-programme

ტრანსპორტით მგზავრობის) მონიტორინგის მიზნით კეთდება.

- შეუძლია გამოიყენოს ციფრული ინსტრუმენტები ინტერნეტში გამოქვეყნებული ფოტოებისა და ვიდეოების ავთენტურობის შესამოწმებლად.
- იცის, თუ რა სტრატეგიები გამოიყენოს ინტერნეტსისტემების მიერ შეგროვებული/მართული მონაცემების გასაკონტროლებლად, სამართავად და წასაშლელად.
- გაცნობიერებული აქვს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები გამოიყენება, რათა ავტომატურად შექმნას ციფრული შინაარსი (მაგალითად, ტექსტები, ახალი ამბები, ესეები, ტვიტები, მუსიკა, სურათები) და თან მხოლოდ არსებული ციფრული მასალის საფუძველზე. ამ შინაარსის გარჩევა ადამიანის ქმნილებისაგან შესაძლოა გაჭირდეს.
- ესმის, რომ ადამიანს ახასიათებს მიკერძოებულობა, ამიტომ კრიტიკულია საკუთარი მოსაზრებების მიმართაც.
- ესმის ციფრულ გარემოში (მაგალითად, სოციალურ მედიასა და მოკლე შეტყობინებებში) გამოყენებული არავერბალური ნიშნების (მაგალითად, სმაილების, ემოტიკონების) მნიშვნელობა და გაცნობიერებული აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებში ისინი შესაძლოა სხვადასხვაგვარად გამოიყენებოდეს.

აქტივობების გეგმა 3: მუშაობა ევროპის ციფრული უფლებებისა და პრინციპების დეკლარაციის შესახებ

ადამიანის ციფრული უფლებების ცოდნა და დაცვა ციფრული მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ასპექტია. 2022 წლის იანვარში ევროკომისიამ შეიმუშავა *„ევროპის ციფრული უფლებებისა და პრინციპების დეკლარაცია“*. სხვა უფლებების თანადროულად, დეკლარაციის თანახმად:

- ბავშვებსა და ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ უსაფრთხო და ინფორმირებული არჩევანისა და ინტერნეტგარემოში საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენის საშუალება.
- ბავშვებს აქვთ უფლება, იყვნენ დაცული ტექნოლოგიების მეშვეობით ან ხელშეწყობით ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისაგან.
- ყველას აქვს ინტერნეტსივრცეში პირადი მონაცემების დაცულობის უფლება, რომლის ნაწილიც არის ამ მონაცემთა გამოყენებისა და გაზიარების კონტროლი.
- უსაფრთხო და დაცულ ციფრულ ტექნოლოგიებთან, პროდუქტებსა და მომსახურებასთან ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა წინასწარვე უნდა იყოს გარანტირებული.
- ინტერნეტგარემოში ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება ცენზურისა და დაშინების გარეშე.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, თავდაპირველად თავიანთ უფლებებზე ილაპარაკონ და თქვან, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, ხოლო შემდეგ შეადარეთ მათი მოსაზრებები ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ციფრულ უფლებებს.

აქტივობების გეგმა 4: ციფრული კვალი

მოსწავლეებთან ერთად შეისწავლეთ ციფრული კვალის საკითხი (იხ. განმარტება მე-4 თავში) და განიხილეთ, თუ რამდენად აქტიურად ან პასიურად იქმნება თქვენი კვალი. სცადეთ გაარკვიოთ, თუ რამდენად ხშირად ზიარდება თქვენი პირადი მონაცემები მესამე მხარეებთან საგანმანათლებლო სივრცესა და მის მიღმა. კლასთან ერთად იფიქრეთ დადებით (მაგალითად, ოპტიმიზაცია და პერსონალიზება) და უარყოფით (ხომ არ ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა?) შედეგებზე, რომლებიც პირადი მონაცემების გაზიარებას შეიძლება მოჰყვეს. ასევე იმსჯელეთ, როგორ შეიძლება მოსწავლეებმა თავიანთი ონლაინაქტივობა უკეთესად მართონ.



7. დეზინფორმაცია: რა არის ეს?

მცდარი ინფორმაცია

დადასტურებულად მცდარი ინფორმაცია, რომელიც არ ისახავს მიზნად მოტყუებას, მაგრამ ზიარდება და ვრცელდება, რადგან მომხმარებლებს სიმართლე ჰგონიათ.

დეზინფორმაცია

დადასტურებულად არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც ეკონომიკური მოგების მისაღებად ან საზოგადოების განზრახ მოსატყუებლად იქმნება, ქვეყნდება და ვრცელდება. ამგვარმა ინფორმაციამ შეიძლება საზოგადოება დააზარალოს.

დამაზიანებელი ინფორმაცია

ფაქტობრივად სწორი ინფორმაცია, რომელიც ზიანის მისაყენებლად გამოიყენება.

ეს გზამკვლევი, უპირველეს ყოვლისა, დეზინფორმაციას განიხილავს. როგორც მე-4 თავშია ნათქვამი, დეზინფორმაცია ეკონომიკური მოგების მისაღებად ან საზოგადოების განზრახ მოსატყუებლად იქმნება, ქვეყნდება და ვრცელდება.

უფრო ნათელი რომ გახდეს, თუ რა არის დეზინფორმაცია, შესაბამისი შემთხვევები განიხილეთ. ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე შემთხვევის მაგალითზე, შერჩევა გაგიადვილდებათ. ყოველ მათგანში[6] იკვეთება საზოგადოების მოტყუებისა და ხალხის მოსაზრებებით, ემოციებითა და მოქმედებებით მანიპულირების განზრახვა.

1. მთავრობასა და მის მიერ შედგენილ ჯანდაცვის პროგრამებზე წინასწარგანზრახული შეტევის მიზნით სხვადასხვა ბლოგით გავრცელდა ყალბი ინფორმაცია, თითქოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები ამ დაავადებისაგან კი არ გვიცავს, არამედ მოსახლეობის მასობრივი კონტროლის საშუალებაა. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გვიმტკიცებდნენ, რომ ვაქცინები იარაღია მთავრობის ხელში, ხოლო მიზანი კლიმატური ცვლილებების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაა, შესაბამისად, შეიქმნა იმისათვის, რომ უშვილობა გამოიწვიოს.
2. LGBTIQ–პირებისათვის ჩრდილის მიყენების მიზნით სოციალური მედიის ბევრი მომხმარებელი 2022 წლის მაისში ავრცელებდა ინფორმაციას, რომ პირი, რომელმაც ტეხასის სკოლაში სროლა ატეხა, ტრანსგენდერი იყო. ეს არასწორი ცნობა აიტაცა რამდენიმე ამერიკელმა პოლიტიკოსმა და ცნობილმა პირმა, რომელთაგან ზოგიერთმა ტრანსგენდერულობა ზოგადად ძალადობასთანაც კი დააკავშირა.
3. 2017 წლის თებერვალში ცნობილმა ფრანგმა პოლიტიკოსმა გაავრცელა ამბავი, რომ პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის საპრეზიდენტო კამპანიას საუდის არაბეთი აფინანსებდა. ეს ცნობა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ყალბი ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის ვებგვერდის კლონიც კი შექმნეს.
4. 2022 წლის მარტში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ტრიბუნასთან მდგომი უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი უკრაინელებს მოუწოდებდა იარაღი დაეყარათ და დანებებულიყვნენ. ეს ე.წ. „დიპფეიკი“ დიდი დახვეწილობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მიუჩვეველი თვალი სიმართლედ ჩათვლიდა.
5. 2022 წლის თებერვალში გავრცელდა ტვიტი, რომელიც თითქოს CNN-ს ეკუთვნოდა და იტყობინებოდა, რომ „უკრაინის კრიზისს პირველი ამერიკელი შეეწირა“. გადამოწმდა და დადასტურდა, რომ ინფორმაცია ყალბი იყო, თუმცა სოციალურ მედიაში CNN-ის, როგორც სარწმუნო საინფორმაციო წყაროს ლეგიტიმურობაზე იერიში მაინც მიიტანეს.

როგორ ვებრძოლოთ დეზინფორმაციას

მოსწავლეები უზარმაზარ ინფორმაციას იქამდეც ეცნობიან, ვიდრე სოციალური იდენტობა და მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდებათ. ეს ინფორმაცია ზოგჯერ სასარგებლო და საგანმანათლებლოა, ზოგჯერ კი ყალბი, შეცდომაში შემყვანი და მანიპულაციური. 21-ე საუკუნეში ინფორ-მაციის დიდი ნაწილი ინტერნეტით ან სოციალურ მედიაში კომუნიკაციის გზით ვრცელდება.

დღევანდელ მსოფლიოში დეზინფორმაცია ბევრად უფრო შორს, სწრაფად, ღრმად და ფართოდ შეიძლება გავრცელდეს, ვიდრე სიმართლე. ჩვენს ციფრულ სამყაროში სულაც არ არის აუცილებელი, რომ მისი ყველაზე ეფექტიანი გამავრცელებლები სპეციალური განათლების მქონე პროფესიონალები იყვნენ, როგორებიც, მაგალითად, ჟურნალისტები არიან. ხშირად ამ როლს ის ასრულებს, ვისაც მრავალი მიმდევარი ჰყავს; ის, ვინც ინტერნეტში მუდამ ხაზზეა, ყველაფერში პირველი და ყველაზე სწრაფია და საკუთარ აუდიტორიებთან კავშირის დასამყარებლად პირად შეტყობინებებს იყენებს. დეზინფორმაციამ შესაძლებელია ცალკეულ პირებს, ჯგუფებსა და საზოგადოებას ზიანი მიაყენოს. შესაძლოა, მისი ფორმები განსხვავებული იყოს (იხ. რამდენიმე მაგალითი ქვემოთ, მე-4 ჩანართში), მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მისი მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ გამონაგონი, ყალბი ინფორმაცია თუ მოსაზრება, როგორც ფაქტი და „სიმართლე“, ისე ვრცელდება.

აქტივობების გეგმა 5: ფაქტია თუ მოსაზრება?

მოსწავლეებთან ითამაშეთ „ფაქტია თუ მოსაზრება?“ ეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავების თამაშით გარკვევის ძალიან მარტივი გზაა, რომლის გამოყენებაც დაწყებით სკოლაშიც შესაძლებელია და საშუალოშიც. მოსწავლეებს გააცანით წინასწარ შერჩეული 10 გამონათქვამი, რომლებიც ან ფაქტია, ან მოსაზრება (მაგალითად, შეუპირისპირეთ „გარეთ ტემპერატურა ნული გრადუსია“ და „გარეთ ძალიან ცივა“). ასეთი გამონათქვამები ინტერნეტში ადვილი მოსაძიებელია (და მომავალში ადვილი მისათითებელი), მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი გამონათქვამია ფაქტი და რომელი - მოსაზრება. მათ ასევე უნდა განმარტონ, რატომ ფიქრობენ ასე. შეიძლება გააფართოოთ სავარჯიშო და ჰკითხოთ, თუ როგორ დაადგინეს, რა იყო ფაქტი და რა - მოსაზრება. ანალოგიური სავარჯიშო გამოდგება მეცნიერებასა და ფსევდო-მეცნიერებას შორის განსხვავების გამოსაკვეთად, ოღონდ, შედარებით მაღალი კლასების მოსწავლეებთან.

რჩევა 8: წყაროების გადამოწმება

რამდენად ხშირად ამოწმებენ მოსწავლეები წყაროს, როცა ახალ ამბებს ინტერნეტით ეცნობიან? ოდესმე გადაუმოწმებიათ თუ არა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ახალ ამბებში გადმოცემული ფაქტები? თუ პასუხი დადებითია, როგორ ამოწმებენ ფაქტებს? განიხილეთ მოსწავლეებთან, თუ რა განსხვავებაა მედიაპროფესიონალსა და სამოქალაქო ჟურნალისტს შორის.

ალტერნატიული აქტივობის გეგმები განსჯისათვის:

- დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და შესთავაზეთ, ეწვიონ რამდენიმე სხვადასხვა მედიასაშუალების ვებგვერდს რომელიმე სოციალური საკითხის (მაგალითად, კლიმატური ცვლილებების) შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. წაიკითხონ წინასწარ შერჩეული ერთი ან მეტი სტატია და გამოარკვიონ, რა არის ამ სტატიებში მოსაზრება და რა - ფაქტი. შეესაბამება თუ არა ერთმანეთს სტატიებში გადმოცემული ფაქტები და მოსაზრებები?
- მოსწავლეებს დააწერინეთ ესე (არგუმენტირებული) მათთვის საინტერესო სოციალურ საკითხთან დაკავშირებით და დაავალეთ, რომ ესეში ფაქტებიც გამოიყენონ და მოსაზრებებიც გადმოსცენ.
- ჩაატარეთ მოსწავლეებთან ჯგუფური განხილვა. ცალ-ცალკე ჩამოაწერინეთ ფაქტებისა და მოსაზრებებისათვის დამახასიათებელი ის თვისებები, რომლებიც იმწუთას მოუვათ აზრად. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

გაფრთხილება: ხალხი (ახალგაზრდობა) ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეცდომაში შემყვან შინაარსს, ასეთი შეიძლება იყოს:

ყალბი იდენტიფიკაცია: სხვა ღონისძიებებიდან აღებული ავთენტური სურათები, ვიდეოები ან ციტატები;

გაყალბებული შინაარსი: შინაარსი, რომელიც ყალბია, მაგრამ ხანდახან სიმართლესთანაა კომბინირებული;

თვითმარქვია წყაროები: მაგ., ვებგვერდები, ბლოგები ან ტვიტერის ანგარიშები, რომლებიც თავს ასაღებენ ცნობილ ბრენდად, პირად ან თუნდაც მეგობრად (კლასელად);

მცდარი კავშირი: შინაარსი, რომელიც სათაურთან/წარწერებთან შეუსაბამოა;

მცდარი შინაარსი: ინფორმაცია, რომელიც ძირითადად სიმართლეა, მაგრამ გადმოცემულია არასწორ კონტექსტში;

დამუშავებული შინაარსი ისეთი შინაარსი, როგორიც არის სტატისტიკა, ცხრილები, ფოტოები და ვიდეოები, რომლებიც შეცვლილი ან დამუშავებულია. მათ შორის არის ჩიპფეიკები და დიპფეიკები;

იარაღად ქცეული დამაზიანებელი ინფორმაცია: გაზვიადებული ფაქტები;

ჭორებზე დამყარებული დასკვნები: შორს მიმავალი დასკვნები, რომლებიც ჭორების საფუძველზეა გაკეთებული.

[6] ეს მაგალითები სხვადასხვა მიკერძოებული მედიასაიტიდან არის აღებული. ევროკომისია ამ მაგალითების სიმართლესთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

ჩანართი 4: დეზინფორმაციის ზოგიერთი სპეციფიკური ფორმა - შესაძლებლობა კონკრეტული სასკოლო საგნების მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის

სულ უფრო ხშირად ჩიპფეიკებს ახალგაზრდები თვითონვე ქმნიან. მაგალითად, თუ ინტერნეტში ვინმეს შევიწროება უნდათ, მოსწავლემ ან მოსწავლეთა ჯგუფმა შეიძლება ერთი მოსწავლის (სამიზნის) გამოსახულება სხვა პირის მაკომპრომეტირებელ ფოტოსურათში ჩასვას და ყალბი გამოსახულება სოციალური მედიის არხებით გაავრცელოს. ამას შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს, განსაკუთრებით, სამიზნე პირისათვის. ხელოვნების მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილზე მოაწყოს დემონსტრირება (როგორც გაფრთხილება), თუ რა ადვილია ჩიპფეიკის შექმნა. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გაფრთხილება „სწავლა კეთებით“.

ფსევდომეცნიერება შედგება ისეთი განცხადებების, შეხედულებებისა და მეთოდებისაგან, რომლებიც მეცნიერულად და ფაქტებზე დამყარებულად ცხადდება, თუმცა სამეცნიერო კვლევასთან საერთო არაფერი აქვს. ვინაიდან ამ ტიპის დეზინფორმაცია ძალიან გავრცელებულია, ამა თუ იმ სამეცნიერო საგნის მასწავლებელს შეუძლია აუხსნას მოსწავლეებს, თუ რა განსხვავებაა ნამდვილ მეცნიერებასა და ფსევდომეცნიერებას შორის.

მასწავლებლებს, რომელთა საგანი ისტორიასა და მოქალაქეობას უკავშირდება, სხვებზე უკეთ შეუძლიათ აუხსნან მოსწავლეებს, თუ როგორ იქმნება შეთქმულების თეორიები თუ მცდარი ინფორმაცია და კაცობრიობის ისტორიაში როგორ იყენებდნენ მათ პოლიტიკურ იარაღად. მასწავლებლებს/პედაგოგებს ასევე უამრავი თანამედროვე შეთქმულების თეორიის გამოყენებაც შეუძლიათ. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს აუხსნათ, რომ შეთქმულებები ნამდვილად არსებობს, მაგრამ მედიით გავრცელებულთა შორის მრავალი მათგანი პოლიტიკური მიზნით არის შექმნილი. იხ. გაფრთხილება ქვემოთ.

დეზინფორმაციის მახასიათებლები

დეზინფორმაციას მრავალ კონტექსტში და მრავალ სხვადასხვა პლატფორმაზე შეიძლება შევხვდეთ. ზოგჯერ ის სწორედ ახალგაზრდებზე გავლენის მოსახდენად იქმნება. დეზინფორმაციის ყველაზე გავრცელებული მახასიათებლები (იხ. **აქტივობების გეგმა 6**):

1. სამიზნე პირის ემოციებზე თამაში, რაც ამ კონკრეტულ პირს ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარს უქვეითებს.
2. ოპონენტზე თავდასხმა და რეალობის „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ თვალთახედვით წარმოჩენა.
3. ფაქტების გაუბრალოება და კონტექსტის უგულებელყოფა.
4. ერთი და იმავე იდეის გამუდმებით გამეორება.
5. ფაქტისათვის დამახასიათებელი ნიუანსების უგულებელყოფა და მხოლოდ ერთი კუთხით წარმოჩენა.
6. გამოსახულების სხვადასხვა საშუალებით მანიპულირება, მაგალითად, რეტუშირებისა და დანაწევრების გზით.
7. სურათის ამოღება თავდაპირველი კონტექსტიდან და მისი მიერთება სხვა სურათთან, მუსიკას/ხმებსა და ტექსტთან, მისთვის სხვა მნიშვნელობის მინიჭების მიზნით.
8. იმ ცნობილი და გამოჩენილი პირების გამოყენება, რომელთაც სამიზნე ჯგუფი აღიარებს.
9. ჩიპფეიკებისა და დიპფეიკების ხშირი გამოყენება.
10. მედეგობა მამხილებელი მტკიცებულებების მიმართ.

აქტივობების გეგმა 6: შევაფასოთ ინფორმაცია

შეარჩიეთ ერთი ან რამდენიმე ტექსტი, რომლებიც აშკარა დეზინფორმაციას შეიცავს, მისი საწინააღმდეგო ფაქტები კი ადვილად მოსაპოვებელია. მოძიებაში ფაქტების გადასამოწმებლად შექმნილი ვებგვერდები დაგეხმარებათ. მოსწავლეებს დაავალეთ, რომ ტექსტ(ებ)ი განიხილონ და ჰკითხეთ, აღმოაჩინეს თუ არა დეზინფორმაციის ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები. მათ ჯერ დამოუკიდებლად უნდა იმუშაონ, შემდეგ კი მასალა მცირე ჯგუფებში განიხილონ, ეს ცოდნის მაქსიმალურად კარგად ათვისებას შეუწყობს ხელს.

რატომ ქმნიან და ავრცელებენ დეზინფორმაციას?

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებისათვის დეზინფორმაციის განსაზღვრება გასაგები ხდება, იბადება ისეთი შეკითხვები, როგორებიცაა: *„რატომ იქმნება დეზინფორმაცია?“ „რა არის მისი შემქმნელების მოტივაცია?“* შეგიძლიათ მათ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმაროთ.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ დეზინფორმაციის შექმნასა და გავრცელებას რამდენიმე მიზეზი აქვს. იდეალურ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ეს საკითხი თვითონ გამოიკვლიონ (იხ. **აქტივობების გეგმა 7**), მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა, მას შემდეგ, რაც ასეთ დავალებას მისცემს, უკუკავშირი დაამყაროს და აუხსნას, რომ კონკრეტულ პირებსა და ჯგუფებს დეზინფორმაციის შექმნა სხვებზე ზეგავლენის მოსახდენად სჭირდებათ. დეზინფორმაცია შეიძლება იდეოლოგიური იყოს, ანუ არწმუნებდეს ხალხს ამა თუ იმ პოლიტიკური მოსაზრების მართებულობაში, ან ფინანსური მოგების მიღებას ისახავდეს მიზნად. რაც შეეხება დეზინფორმაციის უფრო მსუბუქ შემთხვევებს, შეგიძლიათ უთხრათ, რომ ის შეიძლება გასართობად შეიქმნას (მაგალითად, სატირის ფორმით). ასეთ შემთხვევებში ტყუილის მიზანი მიმდევრების რიცხვის გაზრდაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, რა მოტივები უდევს საფუძვლად დეზინფორმაციას, რა ფორმები შეიძლება მიიღოს და ზიანის მიყენების რა პოტენციალი აქვს.

გაითვალისწინეთ...

- ესაუბრეთ მოსწავლეებს (თავდაპირველად ზოგადად, შემდეგ კი უფრო პერსონალურად) იმის შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაცია იწვევს ისეთ ემოციებს, როგორებიცაა გაღიზიანება, წუხილი, სიამაყე ან აღელვება.
- უნდა განიხილოთ მოსწავლეებთან, თუ რამ შეიძლება განაპირობოს შინაარსის დაუფიქრებლად გაზიარება. სთხოვეთ, დაასახელონ მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან. შეახსენეთ, რომ ისეთი ძლიერი ემოციები, როგორებიცაა სიხარული ან ბრაზი, ხელს უშლის რაციონალურ და კრიტიკულ აზროვნებას.
- უნდა განიხილოთ წყაროს შეფასების მნიშვნელობა. სარწმუნო წყაროს ამოცნობა მარტივი და საიმედო გზით შეიძლება. ასეთი წყარო არ მალავს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის წარმომავლობას.

აქტივობების გეგმა 7: რა მიზნით იქმნება დეზინფორმაცია

მოსწავლეებისათვის დეზინფორმაციის შექმნის მიზეზების ახსნას სჯობია სთხოვოთ, რომ საკითხი ინტერნეტში გამოიკვლიონ. ეს დავალება შეიძლება მთელ კლასს ან მცირე ჯგუფებს მისცეთ. მათ უნდა გაარკვიონ, რა მიზანს ისახავენ პირები (ან ორგანიზაციები), როდესაც დეზინფორმაციას ავრცელებენ, ვთქვათ, COVID-ის, კლიმატის ცვლილებების, ლტოლვილებისა და მიგრანტების, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების, ქალების შესახებ და ა.შ.. მცირე ჯგუფებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ ის, რაც ინტერნეტში მოიძიეს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

უმცროსი კლასების მოსწავლეებისათვის უნდა შეარჩიოთ უფრო მსუბუქი და ნაკლებად რთული საკითხები, რომლებსაც უფრო ადვილად გაუმკლავდებიან.

! სანამ ამ დავალებას მოსწავლეებს მისცემდეთ, კარგი იქნება, თუ საკითხს თავად გამოიკვლევთ - ასე განხილვას უკეთ გაუძღვებით.

მოსწავლეებს გამოადგებათ ცოდნა იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დეზინფორმაციას ეკონომიკური სარგებელი მოაქვს მისი გამავრცელებლებისათვის. შესაძლოა, თქვენი მოსწავლეები სოციალურ მედიაში ისეთ „გავლენის მქონეთა“ და „შინაარსის შემქმნელთა“ მიმდევრებიც იყვნენ, რომლებიც ამგვარი მასალის გავრცელებით შემოსავალს იღებენ.

რაც უფრო მიმზიდველი და წინააღმდეგობრივია ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, მით უფრო სავარაუდოა, რომ მომხმარებლები ნახავენ მას და გააზიარებენ. შესაბამისად, ახალი ამბების შემქმნელები რეკლამით მეტ შემოსავალს მიიღებენ. ყალბი და/ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამავრცელებლები კი ეცდებიან, ის მომხმარებელთა მაქსიმალურმა რაოდენობამ გააზიაროს. „ახალი ამბების“ ყალბი საიტები, რომლებიც ნამდვილი საინფორმაციო ვებგვერდების ასლებად იქმნება, ფინანსური შემოსავლის მიღების მიზნით დეზინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა.

რჩევა 9: ცვლილება

მას შემდეგ, რაც მიხვალთ იმ პრობლემის აღიარებამდე, რომ დეზინფორმაცია ყველგან აღწევს, სწრაფად ვრცელდება და ზიანი მოაქვს, იდეალურ შემთხვევაში, უნდა დაიწყოთ მსჯელობა, თუ როგორ შეაჩეროთ დეზინფორმაცია და როგორ გაუწიოთ მას წინააღმდეგობა. ეს მსჯელობა და შემდგომი განხილვა მიგიყვანთ იმ ზოგად დასკვნამდე, რომ პასუხისმგებლობა მოსწავლეებსაც ეკისრებათ, მათ შორის, იმის გამოც, რომ ისინი თავიანთ როლს ყოველთვის როდი ხედავენ. უნდა დაარწმუნოთ, რომ „მდგომარეობის შეცვლა მათაც შეუძლიათ“, რასაც მოჰყვება კლასსა და სკოლაში კონკრეტული აქტივობები დეზინფორმაციასთან გამკლავების სტრატეგიის შესამუშავებლად (იხ. სხვა მაგალითები ამ თავში).

გაითვალისწინეთ...

მას შემდეგ, რაც მიხვალთ დასკვნამდე, რომ დეზინფორმაცია სხვადასხვა სახის საფრთხეს ქმნის, მოსწავლეებს ჰკითხეთ:

ა. რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება დეზინფორმაციის გავრცელებაში საინფორმაციო საშუალებებს? რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტექნოლოგიების მომხმარებლებს? რას იტყვით (სოციალური) მედიაკომპანიების თაობაზე?

ბ. იციან თუ არა, რა ზომებს მიმართავს საზოგადოება დეზინფორმაციის შესაზღუდად? მისაღებია თუ არა მათთვის ეს ზომები, მაგალითად, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით – ცენზურა? გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში თავდაპირველად მოსწავლეებს საზოგადოების მიერ გატარებული ზომები უნდა გააცნოთ.

გ. რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება სოციალურ მედიას და სხვა პლატფორმებს დეზინფორმაციის შეზღუდვაში?

დ. რა როლი ეკისრება მთავრობას დეზინფორმაციის შეზღუდვაში? მიმოიხილეთ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. შესაძლებელია მეტის გაკეთება? იციან თუ არა მოსწავლეებმა, რა ზომებს იღებს მთავრობა?

ე. რა შეუძლიათ და რას აკეთებენ ისინი, ვისაც ფაქტების გადამოწმება ევალებათ?

ვ. რა როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტექნოლოგიების მომხმარებლებს, მაგალითად, თავად მოსწავლეებსა და საზოგადოებას? შეუძლიათ თუ არა მათ რამე როლი შეასრულონ?

დეზინფორმაციის გავრცელებას იდეოლოგიური მიზანიც აქვს ხოლმე. მაგალითად, ექსტრემისტული ორგანიზაციები დეზინფორმაციის მეშვეობით მეტი მომხრის შეძენასა და თავიანთი რიგების შევსებას ცდილობენ. მთავრობის მიერ გავრცელებული

დეზინფორმაცია იდეოლოგიური დეზინფორმაციის შემაშფოთებელი ფორმაა. ასეთი დეზინფორმაცია შეიძლება სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ საზოგადოებრივ აზრზე (იმავე ან სხვა სახელმწიფოში) გავლენის მოხდენას ისახავდეს მიზნად. ამ ტიპის დეზინფორმაციას შეუძლია გააღრმაოს საზოგადოების დაყოფა, მოახდინოს კონკრეტული უმცირესობების დემონიზაცია და სხვა ქვეყნებზეც იქონიოს გავლენა. ექსტრემალურ ფორმებში ის შეიძლება გამოიყენონ ომის გასამართლებლად ან საბაბად.

აქტივობების გეგმა 8: განვიხილოთ მედიის თავისუფლება

განიხილეთ მოსწავლეებთან, სად უფრო სავარაუდოა დეზინფორმაციის გავრცელება, თავისუფალ თუ მთავრობის გავლენის ქვეშ მყოფ მედიაში. შეგიძლიათ ასევე შეხვიდეთ მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის ვებგვერდზე: https://rsf.org/en/index და ერთად ნახოთ, რომელ ადგილზეა თქვენი ქვეყანა პრესის თავისუფლების მიხედვით. საიტზე მასალა 6 ენაზე ქვეყნდება, მისი ვიზუალური მხარე აღსაქმელად მარტივია, ტექსტების მოცულობა კი მცირე.

გაფრთხილება: სწავლა კეთებით

კეთებით სწავლა გამოცდილების საფუძველზე სწავლის შესანიშნავი მეთოდია და საკითხის ღრმად შესწავლას უწყობს ხელს, ამიტომ ზოგიერთმა მასწავლებელმა/პედაგოგმა, შესაძლოა მოსწავლეებს დეზინფორმაციის შექმნა დაავალოს. მაგალითად, ხელოვნების მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩიპფეიკების შექმნა შესთავაზოს, რათა მათთვის ნათელი გახდეს, როგორ იქმნება ისინი. შესაძლოა, ამგვარად მათ საკითხი მართლაც კარგად გაიგონ, თუმცა ეს მეთოდი საკმაოდ სარისკოც არის, რადგან მოსწავლეებმა ახლად შეძენილი უნარი შეიძლება არასათანადო მიზნით (მაგალითად, ინტერნეტის მეშვეობით თანატოლების დასაშინებლად cyberbully) გამოიყენონ. ჩიპფეიკები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მაგალითად, მაკომპრომეტირებელ სურათს სხვა პირის სახე დაადონ და ის „ნამდვილ“ ფოტოდ გაასაღონ. ანალოგიური საფრთხე წარმოიშობა, თუ მოსწავლეებს სურათებით მანიპულირებას ვთხოვთ იმის საჩვენებლად, თუ როგორ კეთდება ეს. მნიშვნელოვანია, ორიენტირებული ვიყოთ პრობლემის გადაწყვეტაზე და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მოსწავლეები დეზინფორმაციას.

რა არის ფაქტების გადამოწმება?

როგორც გზამკვლევის განმარტებების ნაწილშია ნათქვამი, ინფორმაცია მართალია თუ მცდარი, ფაქტების გადამოწმებით დგინდება. შემოწმებას ნებისმიერი მედიასაშუალება ექვემდებარება (და ეს შეეხება როგორც ტექსტს, ისე სურათებს). იმის დასადგენად, სარწმუნოა თუ არა ინფორმაცია, შემდეგი შეკითხვები უნდა დაისვას: *ვინ არის ავტორი? რა მტკიცებულებებია მოყვანილი და რას ამბობენ ამ საკითხის თაობაზე სხვა სარწმუნო წყაროები?* ასევე: *რა არის სარწმუნო წყარო?* ტექსტების საძიებო და სურათების უკუსაძიებო საშუალებები მეტად სასარგებლოა ფაქტების გადასამოწმებლად. ასეთი საშუალებები დაგეხმარებათ გამოავლინოთ, რომ ტექსტი სიმართლეს შეესაბამება ან რომ სურათი შეცვლილია და სხვა კონტექსტიდან არის ამოღებული.

ფაქტების გადამოწმება საჭიროა როგორც ინფორმაციის გამოქვეყნებამდე, ისე მისი გამოქვეყნების შემდეგ.

გაითვალისწინეთ...

- მოსწავლეებს უნდა გააცნოთ ფაქტების გადასამოწმებელი შესაბამისი ადგილობრივი ან საერთაშორისო ვებგვერდები, თუ იქ მასალა თქვენი ქვეყნის ენაზე ქვეყნდება.
- კლასში/სკოლაში უნდა მოიწვიოთ სტუმრები, რომლებიც მათ დეზინფორმაციასა და ფაქტების გადამოწმების შესახებ ესაუბრებიან.
- უნდა უჩვენოთ მოსწავლეებს ინტერნეტში გამოქვეყნებული ვიდეოები (ასაკის გათვალისწინებით), რომლებშიც ახსნილია, თუ რა არის დეზინფორმაცია და ფაქტების გადამოწმება. შესთავაზეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს შეადარონ და შეუპირისპირონ ეს ვიდეოები.
- გაარკვიეთ, რომელი ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია გთავაზობთ დახმარებას ფაქტების გადამოწმებაში და დაუკავშირდით მათ. ამ სფეროში ამჟამად სულ უფრო მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და მათი უმეტესობა სკოლებთანაც თანამშრომლობს.
- შეგიძლიათ სკოლასთან თუ კლასთან ერთად მიიღოთ მონაწილეობა ეროვნულ ან საერთაშორისო ღონისძიებებში, როგორიცაა, მაგალითად, ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო დღე (აღინიშნება აპრილის დასაწყისში). ამგვარად შეძლებთ თქვენს ენაზე ინფორმაციის მოპოვებას.

აქტივობების გეგმა 9: გადავამოწმოთ ფაქტები

აქტივობის რელევანტურობისათვის მოსწავლეებს იმ დღის ან კვირის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება დაავალეთ. მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენ მიერ წინასწარ მოძიებული გარკვეული წყაროების შესახებ. მიუხედავად იმისა, ინდივიდუალურად მუშაობენ თუ პატარა ჯგუფებად, დავალების შესრულების დროს მოსწავლეებმა შემდეგ შეკითხვებს უნდა უპასუხონ:

- რომელ წყაროებს შეიძლება ვენდო(თ)?
- სად შეიძლება მოვიძიო(თ) წყაროები?
- თუ ასეთი მიზანი აქვს, რა ემოციების გამოწვევას ცდილობს ეს ინფორმაცია?
- რა გზით ახდენს გავლენას ეს ინფორმაცია ჩემს/ჩვენს გრძნობებსა და მოსაზრებებზე (აღწევს თუ არა მიზანს ჩემს/ჩვენს შემთხვევაში და რატომ)?
- როგორ გავუზიარო(თ) სხვებს ეს ინფორმაცია ისე, რომ არ ვავნო(თ)?
- რატომ დაიწერა ეს სტატია? რა იყო მისი მიზანი?
- რა ტიპის მკითხველისათვის/სამიზნე ჯგუფისათვის დაიწერა ეს სტატია?
- როგორ დავადგინო(თ), არის თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლე?
- თუ ეს სტატია ახალ ამბებს გადმოგვცემს, როგორ იპყრობს ის მკითხველის ყურადღებას (მაგ., თვალშისაცემი ფერებით ან სურათებით, მსხვილად დაბეჭდილი სათაურებითა და ძახილის ნიშნებით)?

რა არის მხილება?

მხილება ხდება ყალბი ინფორმაციის ფაქტობრივი გავრცელების შემდეგ. მისი მიზანი ყალბი ინფორმაციის გასწორებაა, რათა ხალხმა აშკარა ტყუილი სიმართლედ არ მიიჩნიოს. ინფორმაციის მომხმარებელი „არ ტყუვდება“ იმით, რასაც მას ფაქტის და/ან სიმართლის სახით აწვდიან. ფაქტების გადამოწმების სტრატეგიები შეიძლება მცდარი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის მხილებისათვის იქნეს გამოყენებული.

რა არის პრევენციული მხილება?

პრევენციული მხილება არის ხალხის წინასწარ გაფრთხილება, რომ შესაძლოა ყალბი ინფორმაციის სამიზნედ იქცნენ. ეს ქმედება ემყარება მოსაზრებას, რომ „პრობლემის წინასწარ აღკვეთა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორება“. როცა მოსწავლეებს პრევენციულ მხილებას ასწავლით, კონკრეტულ საკითხზე ფაქტობრივი და სიღრმისეული ინფორმაცია წინასწარ უნდა მიაწოდოთ, ხოლო შემდეგ გააცნოთ იმავე საკითხზე გავრცელებული დეზინფორმაცია. შეგიძლიათ ასევე წინასწარ უთხრათ, რა ტიპის დეზინფორმაციაა მოსალოდნელი.

გაითვალისწინეთ...

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა სახის ხმები და ჭორები სმენიათ (სთხოვეთ, თუ სურვილი აქვთ, გაგიზიარონ ისინი კონკრეტული პირების დასახელების გარეშე). ჰკითხეთ, რატომ არის ასე რთული ამ ჭორების მხილება.
- გაესაუბრეთ კოლეგებს და ჰკითხეთ, თუ რა სახის სადეზინფორმაციო კამპანიებს ელიან უახლოეს პერიოდში მთავარ სოციალურ პრობლემებთან მიმართებით. რა ტიპის დეზინფორმაციაა მოსალოდნელი? სხვადასხვა საგნის ინტეგრირებით დაგეგმეთ მხილებასთან დაკავშირებული აქტივობები.

რჩევა 10: მუშაობა მხილებასა და პრევენციულ მხილებაზე

მხილებისა და პრევენციული მხილების შესახებ მუშაობისას მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვის კარგი უნარი სჭირდება, რომ მოსწავლეები გავრცელებული ყალბი ინფორმაციის გარკვეული ნაწილის სარწმუნოდ მიჩნევისაგან დააზღვიოს. როგორც ნათქვამია ამ გზამკვლევის თავში *„გარემოს შექმნა“*, მოსწავლეთა წინააღმდეგობისა და ჩაბმულობაზე უარის თავიდან ასაცილებლად, მათთვის არც ისე სადავო საკითხებით დაიწყეთ. გამოიყენეთ მცდარი ინფორმაცია, ხმები და ჭორები, რომლებიც დიდი ხნის წინათ ვრცელდებოდა (მაგალითად, კუდიანების გარშემო შექმნილი მორალური პანიკა შუა საუკუნეებში) ან მათი სამყაროდან შორს შექმნილი ყალბი ინფორმაცია (ზოგ ქვეყანაში არის მითი, რომ კიბორჩხალას ჭამა ბავშვების ცელქობას იწვევს). ასეთი ინფორმაციის მხილება, როდესაც მოვლენებს ფართო ხედით და მეცნიერული თვალით ვუყურებთ, შედარებით ადვილია და არავის ვნებს. კარგი იქნება, თუ ისინი მსგავს ამბებს ფაქტებისა და სამეცნიერო მონაცემების გამოყენებით ამხელენ. როდესაც მხილების არსს ჩასწვდებიან, შესთავაზეთ წარმოიდგინონ, რომ ამ დეზინფორმაციის გავრცელებაა მოსალოდნელი და პრევენციული მხილება სთხოვეთ. ჰკითხეთ, მსგავსია თუ განსხვავებული ის მიდგომა, რომელიც მათ მხილებისა და პრევენციული მხილებისათვის შეიმუშავეს.

ინფორმაციის სანდოობის შეფასება. როგორ ამოვიცნოთ და გამოვიყენოთ სანდო წყაროები

რას ნიშნავს ეს და რატომ არის მნიშვნელოვანი?

ფაქტების გადამოწმებაზე, მხილებასა და პრევენციულ მხილებაზე მუშაობით მოსწავლეები იძენენ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ინფორმაციის სიზუსტის დადგენის, სანდო წყაროების პოვნისა და ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებისათვისაა აუცილებელი. ნებისმიერ შეკითხვაზე მოსწავლეები ათასგვარ პასუხს პოულობენ და ამიტომ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მათთვის ფაქტების, მოსაზრებებისა და დეზინფორმაციის (ასევე მცდარი ინფორმაციის) ერთმანეთისაგან გარჩევის სწავლება რთული იქნება. ციფრულ სამყაროში გზის გაგნების სწავლა მოსწავლეებისათვის ნამდვილად არ არის ადვილი, მაგრამ ეს იმის შესაძლებლობასაც მოგცემთ, რომ გამოკვეთოთ, თუ რამდენად სასარგებლოა ინტერნეტში ზუსტი და განათლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების უნარი. მოსწავლეებისათვის სარწმუნო ინფორმაციის მოპოვების სწავლება მათთვის სანდო ინფორმაციის სამყაროს გასაღების გადაცემის ტოლფასია. რა თქმა უნდა, ამასთანავე, მათ სჭირდებათ ცოდნა იმისა, თუ როგორ იქმნება და ვრცელდება დეზინფორმაცია.

დეზინფორმაციის სხვადასხვა განზომილების გააზრება

დეზინფორმაციის ტექნიკური მხარე

მოსწავლეების უმრავლესობამ იცის ციფრული მოწყობილობების გამოყენება, მაგრამ არ იცის, როგორ გამოიყენოს პასუხისმგებლობით და არც ის იცის, თუ რა მარტივია დეზინფორმაციის გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიებით. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება დეზინფორმაციისა და მცდარი ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი იარაღი იყოს, მაგრამ, იმავდროულად, ის შეიძლება დიპფეიკების შესაქმნელად იქნეს გამოყენებული. ბოტების ქსელებს შეუძლიათ ინტერნეტში არასწორი ინფორმაცია გაავრცელონ. დეზინფორმაციის შექმნის ტექნიკური მხარის ცოდნა ნათელს ხდის, თუ როგორ მუშაობს დეზინფორმაცია.

აქტივობების გეგმა 10: განვიხილოთ დეზინფორმაციის ტექნოლოგიური ასპექტები

შეგიძლიათ დაიწყოთ იმით, რომ მოსწავლეებს ჰკითხოთ აზრი, შეუძლია თუ არა ციფრულ მოწყობილობებში გამოყენებულ ტექნოლოგიებს დეზინფორმაციის გავრცელება და რატომ ფიქრობენ, რომ ეს ასეა. ეს შეიძლება იყოს პირველი ნაბიჯი, რომელიც მათთან მუშაობის დაწყების საშუალებას მოგცემთ. ამ გზით ასევე გააქარწყლებთ მითებს და არასწორ წარმოდგენებს. ამ ტიპის აქტივობა შეიძლება დაწყებით კლასებშიც განხორციელდეს.

გაითვალისწინეთ...

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, იციან თუ არა, როგორ მუშაობს (ტექნოლოგიების თვალსაზრისით) ალგორითმები, სატყუარა შინაარსი და ბოტები.
- ჩაატარებინეთ მოსწავლეებს კვლევა (ზემოხსენებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად). მაგალითად, სთხოვეთ, რომ ინტერნეტში მოიძიონ ერთი-ორი ვიდეო, რომელთა მეშვეობითაც, მათი აზრით, ახსნა გაადვილდება. შეარჩიეთ ვიდეოები კლასში საჩვენებლად.
- გაეცანით საგანმანათლებლო თამაშებს, რომელთა რიცხვი ინტერნეტში თანდათან იზრდება და რომლებიც გვიხსნის, თუ როგორ მუშაობს დეზინფორმაცია.

დეზინფორმაციის ეთიკური მხარე

დეზინფორმაციის ტექნიკურ ასპექტებთან ერთად მისი ეთიკური ასპექტების განხილვა უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს არა მხოლოდ დეზინფორმაციის მუშაობის მეთოდებზე, არამედ იმ ზიანის შესახებ, რომლის მოტანაც მას ცალკეული პირებისა და საზოგადოებისათვის შეუძლია. შესაბამისად, უნდა გამოიკვეთოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ მოსწავლეებს ციფრულ სამყაროში, რაც გულისხმობს, რომ არც მათ უნდა გააზიარონ დეზინფორმაცია და სხვებიც უნდა გააფრთხილონ.

რჩევა 11: კავშირი ადამიანის უფლებებთან

მოსწავლეები ბევრად უკეთ გაიგებენ, რა არის დეზინფორმაცია და რა პრობლემებს ქმნის მისი გავრცელება, თუ განიხილავთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პრესის, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება; ასევე თუ გაიცნობთ, როგორ და რატომ მიმართავენ სოციალური მედიის პლატფორმები შინაარსის გადარჩევის გზას.

შეგიძლიათ გამოიყენოთ განხილვის, დიალოგისა და მსჯელობის განსხვავებული ხერხები, რათა მოსწავლეები საკითხის განხილვაში აქტიურად ჩააბათ. მაგალითად, მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ სოციალურ მედიაში კონკრეტული პირებისა და კონკრეტული შინაარსის დაბლოკვის დადებითი და უარყოფითი მხარეები. რა აზრის არიან მოსწავლეები ამ საკითხზე? რა არგუმენტებით ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს? უკუკავშირის სახით შეგიძლიათ აუხსნათ, თუ რამდენად კანონიერია დეზინფორმაციის შესაჩერებლად გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი. აქ, ცხადია, კანონმდებლობის ცოდნის გაუმჯობესება იქნება საჭირო.

გაითვალისწინეთ...

• განიხილეთ ევროკავშირის ახალი პოლიტიკური ინიციატივები, რომლებიც დეზინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას ისახავს მიზნად (მაგალითად, ევროკავშირის 2022 წლის კოდექსი დეზინფორმაციის პრაქტიკის შესახებ,[7] ციფრული მომსახურების აქტი,[8] და ციფრული ბაზრების აქტი[9]).

• სთხოვეთ მოსწავლეებს (განსაკუთრებით საშუალო სკოლის ასაკში), გამოთქვან თავიანთი აზრი ზემოხსენებული ინიციატივების შესახებ პატარა ჯგუფებთან ან მთელ კლასთან.

• სთხოვეთ მოსწავლეებს, განიხილონ სარეკლამო მასალა და ჰკითხეთ, რის მიღწევა სურთ მის დამკვეთებს და რატომ. განსხვავდება თუ არა რეკლამა დეზინფორმაციისაგან? როგორ?

• ჰკითხეთ მოსწავლეებს, სად გადის მათთვის ზღვარი, როცა საუბარი სიტყვის თავისუფლებას შეეხება. არის თუ არა ნებისმიერი თავისუფალი სიტყვა დასაშვები მაშინაც კი, თუ ის ნამდვილად ყალბი და ზიანის მომტანია?

• მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კამპანია იმ დროისათვის ყველაზე გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ სკოლის საზოგადოების გასაფრთხილებლად.

დეზინფორმაციის ეკონომიკური მხარე

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, დეზინფორმაციის გავრცელებით შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. შეგიძლიათ იმით დაიწყოთ, რომ მოსწავლეებს ჰკითხოთ, რომელ კომპანიებს შეიძლება უნდოდეთ მათ ასაკობრივ ჯგუფზე დეზინფორმაციის მეშვეობით ზეგავლენის მოხდენა.

აქტივობების გეგმა 11: განვიხილოთ დეზინფორმაციის ეკონომიკური ასპექტი

თავდაპირველად შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო, რომლის დროსაც მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, თუ რა საქმიანობა იტაცებთ, რა აინტერესებთ და რა მოსაზრებები აქვთ. მათი მოწონებისა და არმოწონების გათვალისწინებით, ჰკითხეთ, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული მარკეტინგის მეთოდების მათ მიმართ გამოყენებით. რის მიღწევა სურთ ამ ორგანიზაციებს თუ კომპანიებს? როგორ ცდილობენ მიზნის მიღწევას? როგორ ეხმარება მათ ამისათვის სოციალური მედიის ალგორითმები? ამ სამუშაოს შესრულება შეიძლება, მაგალითად, დისკუსიით ან პატარა ჯგუფებში განხილვით.

გაითვალისწინეთ...

• ჰკითხეთ მოსწავლეებს, სარგებლობენ თუ არა ონლაინვაჭრობის მომსახურებით. შეუმჩნევიათ თუ არა მოტყუების მცდელობა მისი გამოყენების დროს? რა ტიპის ტყუილები ახსოვთ? რატომ იტყუებიან კომპანიები?

• ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელ კომპანიებს შეიძლება სურდეთ მარკეტინგის მეშვეობით მათნაირ ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა. თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ თავიანთ გამოცდილებაზეც ილაპარაკონ.

• ჰკითხეთ მოსწავლეებს, იციან თუ არა, რა არის ფიშინგი. თუკი არ იციან, აუხსენით. რა ზიანის მოტანა შეუძლია მას?

• ჰკითხეთ მოსწავლეებს, იციან თუ არა, რა გზით იღებენ სოციალური მედიის პლატფორმები ფულად შემოსავალს. თუ არ იციან, აუხსენით. ჰკითხეთ, იციან თუ არა, რა არის ალგორითმი. თუ არ იციან, აუხსენით. სთხოვეთ დაფიქრდნენ და თქვან: რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ცალკეულ პირებსა და საზოგადოებას ალგორითმების საშუალებით ინტერნეტში გამოცდილებისა და რეკლამის პერსონალიზებამ? რა შეიძლება ამ მხრივ ითქვას მათზე და მათ თანატოლებზე?

[7] https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/code-practice-disinformation

[8] https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/digital-services-act-package#:~:text=The%20Digital%20Services%20Act%20and,level%20playing%20field%20for%20businesses

[9] https://competition-policy.ec.europa.eu/sectors/ict/dma_en

დეზინფორმაციის ზოგიერთი კოგნიტიური და ემოციური განზომილება

ხალხის კონკრეტული ინფორმაციის სიყალბეში დარწმუნება ადვილი არ არის. ნაწილობრივ იმიტომ, რომ შესწორებული ინფორმაციისადმი უნდობლობას ჩვენთვის დამახასიათებელი კოგნიტიური და ემოციური, სავსებით ადამიანური მექანიზმი განაპირობებს. ფაქტებსა და სიმართლესთან გაცნობა ყოველთვის არ არის საკმარისი ადამიანების დასარწმუნებლად, რომ მათი წარმოდგენა მცდარია. გარდა ამისა, ჩვენ შორის ბევრს სჯერა, რომ დეზინფორმაციის გავლენას თავად არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, რომ ახალგაზრდების გონებაგახსნილობას შევუწყოთ ხელი, რათა გააცნობიერონ, რომ რეალობას მრავალი შრე აქვს და რთულ საკითხებზე მარტივი პასუხები არ არსებობს.

ჩანართი 5: უმთავრესი კოგნიტიური და ემოციური მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ ადამიანს (ახალგაზრდას) იმ მტკიცებულებების გათვალისწინებაში, რომლებიც მის შეხედულებებს ეწინააღმდეგება

ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მოთხოვნილება და სოციალური იდენტობა: ყოველ ჩვენგანს პირადი შეხედულებები და ღირებულებები აქვს, ამასთანავე, ჩვენ, როგორც სოციალურ არსებებს, გვამოძრავებს ძლიერი მოთხოვნილება, მივეკუთვნებოდეთ ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს. რაკი ამგვარ მიკუთვნებულობას ჩვენთვის არაერთი სარგებელი მოაქვს, ჯგუფური იდენტობის შესანარჩუნებლად ბევრის გაღება შეგვიძლია (მათ შორის, იმ ფაქტების უგულებელყოფა, რომლებიც ჩვენს წარმოდგენას ეწინააღმდეგება).

მიკერძოება საკუთარი შეხედულების დადასტურებისა და უარყოფისადმი: **<u>დადასტურებისადმი მიკერძოება:</u>** ნებისმიერი ასაკის ადამიანი გაუცნობიერებლად ესწრაფვის, მოიძიოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს მის წარმოდგენას და არა ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგება ან საეჭვოს ხდის მას. <u>**უარყოფისადმი მიკერძოება:**</u> ადამიანის მიდრეკილება არ მიაქციოს ყურადღება ან უარყოს ის ინფორმაცია და მტკიცება, რომლებიც ეწინააღმდეგება მის წარმოდგენას, მაშინაც კი, როცა ისინი აშკარად სწორია.

ყალბი კონსენსუსის ეფექტი: ადამიანი (ახალგაზრდა) მიდრეკილია მისი (არამართებული) წარმოდგენის გამზიარებელთა რაოდენობის გადაჭარბებით შეფასებისადმი.

უმრავლესობასთან მიერთების ეფექტი: იდეის ან შეხედულებისადმი მიმხრობა იმ ნიშნით, რომ ყველა ასე იქცევა.

გულუბრყვილო რეალიზმი: ადამიანის მიდრეკილებაა სჯეროდეს, რომ არსებული რეალობის მისეული შეფასება რაციონალური, ობიექტური და მიუკერძოებელია, ხოლო სხვები რეალობას ირაციონალურად და მიკერძოებით აფასებენ ან არასწორად არიან ინფორმირებული.

განგრძობითი გავლენის ეფექტი: (დეზ)ინფორმაციის უნარი, მხილების შემთხვევაშიც განაგრძოს გავლენის მოხდენა ჩვენს ქცევასა და წარმოდგენაზე. ახალი ინფორმაციის ინტერპრეტაციის, განსჯის ან შეფასებისას ადამიანი კვლავ ყალბ ინფორმაციას ეყრდნობა. ეს განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს, როდესაც საქმე შეთქმულების თეორიებს შეეხება (იხ. ველი შეთქმულების თეორიების შესახებ).

აქტივობების გეგმა 12: განვიხილოთ შეთქმულების თეორიები

სთხოვეთ მოსწავლეებს, ინტერნეტში მოიძიონ, თუ რა არის შეთქმულების თეორიები, შემდეგ კი შეთქმულების ძველი თეორიები გააცანით (ამისათვის მასწავლებელი წინასწარ უნდა მოემზადოს), რომლებზეც დღეს აღარავინ დავობს. ვინ ავრცელებს ამ თეორიებს? როგორ ვრცელდებოდა ისინი ძველად? რატომ, რა მიზნით ავრცელებდნენ? რა შედეგები მოჰყვა მათ გავრცელებას? რა როლი ითამაშა მითქმა-მოთქმამ, ჭორებმა და ცრურწმენებმა? თუ ამ ყოველივეს მოსწავლეები თვითონ გამოიკვლევენ, საკითხს უკეთ ჩასწვდებიან.

სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოარკვიონ, რა აქვს საერთო ამ შეთქმულების თეორიებს. რა ტიპის ემოციებზეა ისინი გათვლილი?

შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რით განსხვავდება ეს შეთქმულების თეორიები სხვა დეზინფორმაციის უმეტესობისაგან.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ შეიძლება განვასხვაოთ ნამდვილი შეთქმულებები (ისინი მართლა არსებობს) უსაფუძვლო თეორიებისაგან.



გაფრთხილება: შეთქმულების თეორიების განხილვა

შეთქმულების თეორია დეზინფორმაციის სპეციფიკური ტიპია, რომელიც ფაქტებისა და მტკიცებულებების მიმართ განსაკუთრებულად მედეგია. ამ თვისების გამო მისი მხილება ძნელია. მას სხვა ტიპებზე მეტად ახასიათებს ის, რასაც ზემოთ განგრძობადი გავლენის ეფექტი ვუწოდეთ. ამიტომ მოსწავლეებთან მუშაობისას შეთქმულების თეორიებს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ.

შეთქმულების თეორიების უმთავრესი თვისებებია:

- მოსაზრებებითა და წარმოდგენებით მანიპულირების მცდელობა.
- ისინი არა მხოლოდ შეიცავს ყალბ ინფორმაციას, არამედ უკავშირებს მას საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენას კარგისა და ცუდის შესახებ.
- ახდენს მსხვერპლის (ხშირად საკუთარი სოციალური ჯგუფის სახით) და დამნაშავის (სხვების სახით) მკაფიო იდენტიფიკაციას.
- ხშირად მიზნად აქვს ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაძლიერება („ჩვენ მათ წინააღმდეგ“) და მოუწოდებს მოქმედებისაკენ.
- უარყოფითი მოვლენებისთვის ბრალს სდებს ფარულ, იდუმალებით მოცულ „რეალობასა“ და ორგანიზაციებს.
- გამოთქვამს ვარაუდს, რომ ძალაუფლების მქონე ჯგუფები რაღაცას გვიმალავენ და ცდილობენ, გვავნონ.
- მეტი დამაჯერებლობისათვის ტყუილთან ერთად შეიცავს სიმართლის მარცვლებსაც.
- ზემოქმედებს ემოციებზე და მედეგია ნებისმიერი სახის მტკიცებულების მიმართ.
- შეუძლია ეკონომიკური თუ პოლიტიკური სარგებელი მოუტანოს შეთქმულების ყალბი თეორიების გამავრცელებლებს.

8. სკოლასა და კლასში ციფრული წიგნიერების დონის განსაზღვრა და შეფასება: კონკრეტული რჩევები მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის

მოსწავლეების მიღწევების შეფასება ევროპის სკოლებში საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი და აუცილებელი ნაწილია. ეს ასევე თქვენი, როგორც მასწავლებლის/პედაგოგის, ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. ეს მოსწავლეების ციფრული წიგნიერების შეფასებასაც შეეხება.

ვინაიდან ციფრული წიგნიერება განათლების შედარებით ახალი დარგია, ეს ამოცანა შეიძლება რთული აღმოჩნდეს. ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული კომპეტენცია მოიცავს ცოდნას, მიდგომასა და უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, მოსწავლეების ნებისმიერი კომპლექსური შეფასება მრავალმხრივი უნდა იყოს და სამივე კომპონენტს ზომავდეს. ციფრული წიგნიერების დაუფლება და ამ მხრივ მიღწეული პროგრესი მიემართება როგორც შედეგს (საბოლოო პროდუქტი), ისე თავად პროცესს. გარდა ამისა, პროგრესის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ ისწავლება ციფრული წიგნიერება - სხვადასხვა საგანთან ერთად (ინტერდისციპლინარულად) თუ განყენებულად.

რა შეგვიძლია შევაფასოთ და რა უნდა შევაფასოთ?

ციფრული წიგნიერების უმთავრესი ელემენტი კრიტიკული აზროვნებაა, რადგან სწორედ ის მიანიჭებს მოსწავლეებს საჭირო მედეგობას ციფრულ გარემოში, რომელშიც დამახინჯებული და მცდარი ამბები სარწმუნო ინფორმაციასთან ერთად ვრცელდება. აქვთ თუ არა მოსწავლეებს შესაბამისი ცოდნა, უნარ-ჩვევები და მიდგომა, რომ ციფრულ სამყაროში გზის გაგნება ეფექტიანად შეძლონ? – ეს ის მთავარი შეკითხვაა, რომელიც ყოველმა მასწავლებელმა უნდა დასვას.

ახალგაზრდების ციფრული წიგნიერება ისეთი განზომილებებით უნდა შეფასდეს, როგორებიცაა: 1. ფაქტებისა და მოსაზრებების განსხვავების უნარი; 2. მანიპულაციური სტრატეგიების ამოცნობის უნარი; 3. ინტერნეტში მიღებული ინფორმაციის გადამოწმების უნარი; 4. ინფორმაციის კრიტიკული, კონსტრუქციული და შემოქმედებითი მიდგომით პოვნის, გამოყენებისა და შექმნის უნარი; 5. ციფრული მოწყობილობების ეფექტიანად გამოყენების უნარი.

რჩევა 12: ურთიერთობა კოლეგებთან

გაარკვიეთ, შეუფასებიათ თუ არა თქვენს კოლეგებს ციფრული წიგნიერება და თუ შეუფასებიათ, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. ზოგიერთი ინსტრუმენტი შეიძლება სხვებზე უფრო საიმედო და ზუსტი იყოს.

შეფასების ნაირსახეობები

ციფრული წიგნიერების სწავლების საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეების შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს. ციფრული წიგნიერების დაუფლებისა და ამ მხრივ მიღწეული პროგრესის შეფასების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტებია ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებელი ტესტები, თქვენი შეფასება და მოსწავლეების თვითშეფასება, ასევე ტესტირების შედეგების ან სწავლის დროს მიღებული გამოცდილების განხილვა. შეიძლება შეფასების შერეულ ტექნიკას მიმართოთ და ტესტებთან ერთად შეფასების სხვა ტიპებიც გამოიყენოთ, რათა მოსწავლეების მიღწევების თაობაზე რეალური წარმოდგენა შეგექმნათ. მოსწავლეების ციფრული წიგნიერების შესაფასებლად ამჟამად უკვე მრავალი რესურსი და გამოცდილი საშუალება გვაქვს. ზოგიერთი მათგანი მე-6 და მე-8 ჩანართებშია მოცემული. ამ ინსტრუმენტებით შეიძლება შეფასდეს, მაგალითად, თუ რამდენად აქვთ განვითარებული მოზრდილებსა და მოსწავლეებს ინტერნეტში მოპოვებული ცნობების კრიტიკული ანალიზისა და შეპირისპირების, ასევე მათი სიზუსტისა და სარწმუნოობის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

[10] ლატერალური კითხვა - წაკითხულის გადამოწმება წაკითხვის პროცესში.

[11] წყარო: Wineburg, S., Breakstone, J., McGrew, S., Smith, M. D., & Ortega, T. (2022). Lateral reading on the open Internet: A district-wide field study in high school government classes. Journal of Educational Psychology. Advance online publication. https://doi.org/10.1037/edu0000740

რჩევა 13: მოსწავლეების ცოდნის შეფასება

მოსწავლეების ციფრული წიგნიერების შეფასებისას გამოიყენეთ შეკითხვები, რომლებზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხები გაიცემა, შეკითხვები, რომლებზეც სხვადასხვა პასუხია შესაძლებელი, და მოკლე ესეები.

მოსწავლეების **ცოდნის** შეფასება შეიძლება მოიცავდეს ისეთ სატესტო დავალებას, როგორიც არის ინტერნეტში არსებული სარწმუნო წყაროების ნუსხის შედგენა, განსხვავების დადგენა მოსაზრებასა და მნიშვნელოვან ახალ ამბავს შორის, ასევე პროფესიულ ჟურნალისტიკასა და სამოქალაქო ჟურნალისტიკას შორის; ჩამოყალიბება იმისა, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ალგორითმს ინტერნეტში ძიების შედეგებზე. ციფრული **უნარ-ჩვევების** შემოწმების მიზნით, სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ ინფორმაცია, რომლის მიზანიც მკითხველის მოტყუება და მანიპულაციაა და შეუპირისპირონ ნეიტრალურ და დაბალანსებულ ინფორმაციას ან განსაზღვრონ, რა მტკიცებულება უდევს საფუძვლად კონკრეტულ განაცხადს, ანალიზს ან მსჯელობას. შეფასების მიზნით მოსწავლეებს შეგიძლიათ ჰკითხოთ, რამდენად სარწმუნოდ მიაჩნიათ სხვადასხვა სტატია, სათაური თუ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული პოსტი (იხ. მაგალითი მე-6 ჩანართში). შემდეგ, მოსწავლეების მიერ მიღებული „ქულების“ საფუძველზე, შეგიძლიათ იმსჯელოთ, თუ როგორ გააუმჯობესოთ მათი **უნარ-ჩვევები**.

ჩანართი 6: მოსწავლის მიერ მანიპულაციური სათაურის ამოცნობის უნარის შეფასების მაგალითი

1. მართალია თუ მცდარია? შემოხაზეთ სათაურის შემდეგ ფრჩხილებში მოცემული შესაბამისი სიტყვა:

ა. მთავრობა მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით გენური ინჟინერიის შესახებ, რათა ამგვარი ტექნოლოგიები ხალხისათვის უფრო მისაღები გახდეს (მართალია თუ მცდარია)

ბ. ევროკავშირისადმი დამოკიდებულება ძირითადად პოზიტიურია როგორც თვით ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მართალია თუ მცდარია)

გ. ზოგიერთი ვაქცინა სახიფათო ქიმიურ და ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს (მართალია თუ მცდარია)

4. დაასაბუთეთ პასუხი 1-ელ შეკითხვაზე. რატომ მიგაჩნიათ, რომ სათაური სიმართლეა ან ტყუილი? როგორ გაარჩიეთ, მართალი იყო თუ მცდარი?

შენიშვნა: „ა“ და „გ“ სათაურები მცდარია, ხოლო „ბ“ - რეალური ახალი ამბის სათაური. „ა“ და „გ“ შეთქმულების თეორიების მაგალითია, „გ“ ამასთანავე ემოციურად მანიპულაციურიც არის. თუ გსურთ სიმართლე გაიგოთ, ექსპერტს უნდა ჰკითხოთ ან ფაქტები სხვა საიმედო წყაროებით გადაამოწმოთ.

მოსწავლეების ფაქტების გადამოწმების **უნარ-ჩვევის** შეფასება შეიძლება ისეთი დავალებით, რომელიც ლატერალურ კითხვას[10] მოიცავს. უნდა შემოწმდეს აგრეთვე სხვადასხვა საძიებო სისტემით სურათების უკუძიების, ტექსტების ძიებისა და მხილების უნარები (მაგალითად, სირთულის დონის მიხედვით). შეცვლილი სურათებისა და დიპფეიკების ამოცნობის უნარი შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს მოსწავლეს ციფრული რესურსების მეშვეობით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მხილების უნარი.

პრობლემების გადაწყვეტის **უნარ-ჩვევის** შეფასება აგრეთვე რამდენიმე საშუალებით შეიძლება. შეგიძლიათ მოსწავლეებს დეზინფორმაციის მაგალითები გააცნოთ და სთხოვოთ, იპოვონ გამოსავალი. ამასთან, შეგიძლიათ ჰკითხოთ, როგორ გადაამოწმებენ ფაქტებს და როგორ მოახდენენ დეზინფორმაციის პრევენციულ მხილებასა და მხილებას. შეაფასეთ მოსწავლეების მიერ ჩატარებული სამუშაო (რომელსაც შეიძლება ესეს, სტრატეგიის ან სხვა უფრო კრეატიული ფორმა ჰქონდეს).

ჩანართი 7: ლატერალური კითხვის მეშვეობით მოსწავლის მიერ ინტერნეტსაძიებო სისტემების გამოყენების უნარის შესამოწმებელი კითხვარის მაგალითი[11]

გთხოვთ, შასრულოთ დავალება დაახლოებით 8 წუთში. ვთქვათ, გლობალური დათბობის შესახებ მასალის ძიების დროს იპოვეთ ვებგვერდი: https://friendsofscience.org. დაადგინეთ, არის თუ არა ეს ვებგვერდი სარწმუნო წყარო გლობალური დათბობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად ახალი გვერდი (tab) გახსნათ.

1. არის თუ არა ეს ვებგვერდი სარწმუნო წყარო გლობალური დათბობის საკითხებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად?

- დიახ
- არა

2. დაასაბუთეთ პასუხი ინტერნეტში მოძიებული მასალის საფუძველზე. აუცილებლად მიუთითეთ გამოყენებული ვებგვერდების მისამართები.

[თავისუფალი ადგილი პასუხისათვის]

მოსწავლეების ციფრული წიგნიერების უნარი ასევე შეიძლება შეფასდეს:

• რეკლამისა და ახალი ამბების ერთმანეთისაგან გარჩევის **უნარის** ან ამა თუ იმ სოციალური საკითხის კვლევისას სარწმუნო წყაროების მოძიების **უნარის** შემოწმების საფუძველზე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსწავლეები ციფრულ საშუალებებს ყოველდღიურად იყენებენ, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ ფაქტების გადამოწმების უნარ-ჩვევა. შესაბამისად, შეფასების შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს მათ მიერ ალტერნატიული მოსაზრების კვლევის, სიყალბის მხილებისა და ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად ციფრული საშუალებების გამოყენების უნარის (იხ. მაგალითი ზემოთ, **მე-7 ჩანართში**) შეფასება.

• პორტფოლიოს გამოყენება. იმისათვის, რომ დაადგინოთ, იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ იქმნება ე.წ. ყალბი ახალი ამბები, სთხოვეთ, თვითონ შექმნან ყალბი ტვიტი ან ყალბი ახალი ამბავი, შემდეგ კი იმსჯელონ, თუ როგორ მოახდენს ის ზემოქმედებას მომხმარებელზე (ზემოთ ნახსენები მიზეზების გათვალისწინებით, ამ პროცესს ყურადღებით უნდა უხელმძღვანელოთ).

შესაძლებელია, ასევე შეფასდეს მოსწავლეების **მიდგომა** ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ინფორმაციას „გულუბრყვილოდ“ არ ეკიდებოდნენ. ბევრს ჰგონია, რომ დეზინფორმაციის საწინააღმდეგო „იმუნიტეტი“ აქვს და ენდობა წყაროებს, რომლებსაც იცნობს. ამიტომ, მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რამდენად სანდოდ მიაჩნიათ მოსწავლეებს ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია. მათ უნდა ესმოდეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, სარწმუნო ინფორმაციაზე მიუწვდებოდეთ ხელი. ასეთი საკითხების შესაფასებლად სთხოვეთ მოსწავლეებს განსაზღვრონ, ინტერნეტში არსებული ინფორმაციის რა მოცულობა მიაჩნიათ სარწმუნოდ (დაწყებული „ყველაფრიდან“ „არაფრის“ ჩათვლით) ან ჰკითხეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ **სარწმუნო** ახალ ამბებზე მიუწვდებოდეთ ხელი (იხ. **მე-8 ჩანართი**). ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული **მიდგომა** ნაყოფიერია, როდესაც ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციისადმი **მიდგომა** კრიტიკულია, ხოლო სარწმუნო ახალი ამბების ხელმისაწვდომობისადმი - პოზიტიური.

ჩანართი 8: ინფორმაციის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულების შეფასების კითხვარის მაგალითი[12]

1. ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის რა მოცულობა მიგაჩნიათ სარწმუნოდ?

ყველაფერი ---------- არაფერი

2. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სარწმუნო ახალი ამბების მიღება?

სრულიად უმნიშვნელოა ---------- ძალზე მნიშვნელოვანია

3. ვფიქრობ, თითქმის ყოველთვის, მცდარი გზა ბევრია, მართებული კი - მხოლოდ ერთი.

სავსებით ვეთანხმები ---------- კატეგორიულად არ ვეთანხმები

4. ფაქტებს, რომლებიც თქვენს მტკიცე წარმოდგენებს ეწინააღმდეგება, ყურადღება არ უნდა მიაქციოთ.

სავსებით ვეთანხმები --------- კატეგორიულად არ ვეთანხმები

5. ჩემი აზრით, სხვა საზოგადოებები მათში გავრცელებულ წარმოდგენებს კარგისა და ცუდის შესახებ მართებულად მიიჩნევენ.

სავსებით ვეთანხმები -------- კატეგორიულად არ ვეთანხმები

6. ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ფაქტები, რომლებიც ჩვენს წარმოდგენას ეწინააღმდეგება.

სავსებით ვეთანხმები--------- კატეგორიულად არ ვეთანხმები

შენიშვნა: 1-ელი შეკითხვა ზომავს, თუ რამდენად გულუბრყვილოდ ან სკეპტიკურად ეკიდებიან მოსწავლეები ონლაინინფორმაციას. მე-2 შეკითხვა გამოავლენს მოსწავლეთა მიდგომას სარწმუნო ახალი ამბების მიმართ, მე-3 - დოგმატიზმს, მე-4 - ფაქტებისადმი მედეგობას, მე-5 შეაფასებს მისი აზროვნების მოქნილობას, მე-6 კი უჩვენებს, რამდენად ფართოა მოსწავლის თვალსაწიერი.

[12] მაგალითები: Nygren, T., & Guath, M. (2022). Students Evaluating and Corroborating Digital News. Scandinavian Journal of Educational Research, 66(4), 549-565. doi:10.1 080/00313831.2021.1897876; Roozenbeek, J., Maertens, R., Herzog, S. M., Geers, M., Kurvers, R. H., Sultan, M., & van der Linden, S. (2021).Susceptibility to misinformation is consistent across question framings and response modes and better explained by open-mindedness and partisanship than analytical thinking. Judgment and Decision Making. Inpress.

[13] DigCompSAT https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC123226

მოსწავლის ობიექტურობა ის **მიდგომაა**, რომლის შეფასება აგრეთვე მნიშვნელოვანია, რადგან ახალი ფაქტებისა და განსხვავებული თვალსაზრისისადმი პოზიტიური დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის უნარს, გაუმკლავდეს დეზინფორმაციას. ამ ასპექტის შესაფასებლად დააკვირდით მოსწავლეს სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას და განსაზღვრეთ, არის თუ არა მზად, შეიცვალოს პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე, თუკი მტკიცე ფაქტები მის წარმოდგენას ეწინააღმდეგება. მიდგომის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსწავლეთა **ქცევა** ინტერნეტში, ის, თუ რამდენად იცავენ ეტიკეტს სოციალურ ქსელებში. ამისათვის საჭიროა დავაკვირდეთ მოსწავლეთა ურთიერთობის სტილს სხვებთან ონლაინკონტაქტისას ან განხილვაში ჩაბმისას. შეფასებისას უნდა დააკვირდეთ, ხომ არ არღვევენ სხვის პირად სივრცეს, აყენებენ შეურაცხყოფას ან გამოხატავენ უპატივცემულობას; ხომ არ ეკიდებიან სხვის გასაჭირს გულგრილად.

რჩევა 14: გაიაზრეთ, რა არის შეფასების არსი

შეფასება ცდება მოსწავლეების მიერ ფაქტების ცოდნის ან მართებულისა და მცდარის, მიკერძოებულისა და მიუკერძოებლის გარჩევის უნარის გაზომვის საზღვრებს. ასევე ფასდება, თუ რამდენად აქვთ მოსწავლეებს განვითარებული კრიტიკული აზროვნება, რამდენად ობიექტური არიან, რამდენად არიან მზად მიიღონ საწინააღმდეგო არგუმენტი და როგორ აქვთ განვითარებული საწინააღმდეგო შეხედულების მიღების უნარი, არიან თუ არა აქტიური მსმენელები. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პასუხისმგებლობიან, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

გაითვალისწინეთ...

- მოსწავლეების ცოდნა, მიდგომა და უნარ-ჩვევები ფასდება როგორც სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ისე მას შემდეგ.
- შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი ერთობლივად გამოიყენება, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დადასტურებულად სანდოა.
- გამოიყენეთ ცოდნის, მიდგომისა და უნარ-ჩვევების შეფასებისათვის შესატყვისი ინსტრუმენტები.
- ციფრული წიგნიერება, როგორც დისციპლინა, სწრაფად ვითარდება, ამიტომ სულ უნდა ეცნობოდეთ შეფასების უახლეს და გაუმჯობესებულ ინსტრუმენტებს, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ათვისებისა და მათი პროგრესის შესახებ ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით.
- ცოდნის შეფასების საფუძველზე ესაუბრეთ მათ იმის შესახებ, თუ რა უნდა გამოასწორონ.
- გამოიყენეთ სხვადასხვა შეკითხვები და დავალებები, რათა მოსწავლეებს მისცეთ საკითხის ონლაინკვლევის მოტივაცია გაკვეთილამდე თუ მის შემდეგ.
- შეეცადეთ გაარკვიოთ, რამდენად კრიტიკული არიან მოსწავლეები დოგმატური ტიპის ინფორმაციის მიმართ და რამდენად მედეგი - კონტრარგუმენტებისადმი (აზროვნების ღიაობის საპირისპირო მიდგომა).
- ჰკითხეთ კოლეგებს, როგორ აფასებენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა აზროვნების ღიაობა და მოქნილი აზროვნება. თუ ასეთი შემთხვევა არ ჰქონიათ, განიხილეთ, როგორ შეიძლება შეფასდეს ისინი.

გაფრთხილება...

როცა შეფასებისას დეზინფორმაციის მაგალითებს იყენებთ, დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს ესმით, რომელი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და რომელია მცდარი. შესაძლოა ზოგიერთ მათგანს დეზინფორმაცია სიმართლე ეგონოს. „განგრძობითი გავლენის ეფექტის“ გათვალისწინებით, რომელიც **მე-5 ჩანართში** განვიხილეთ, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მოსწავლეების მიერ თავიანთი ციფრული წიგნიერების შეფასების მეთოდი შეიძლება გამოიყენოთ განხილვის, მსჯელობისა და დაკვირვების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები შესაძლოა, ზედმეტად თავდაჯერებული იყვნენ და საკუთარ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებას გადაჭარბებით აფასებდნენ, თვითანალიზის მეთოდის გამოყენება მაინც სასარგებლო იქნება იმისათვის, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მონაცემი მიიღოთ და შეიტყოთ, რას ფიქრობენ თავიანთ თავზე და როგორ შეიძლება შეუწყონ ხელი სხვების წინსვლას. თვითშეფასების მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ, **მე-9 ჩანართში**. ისინი აღებულია ევროპის კომისიის DigCompSAT-იდან (თვითშეფასების საშუალება, რომელიც მოხსენიებულია DigCompupdate2.2-ში).[13] ეს საერთაშორისო რესურსი შეიძლება მუშაობაში დაგეხმაროთ.

ჩანართი 9: ციფრული წიგნიერების თვითშეფასების მაგალითები (DigComp2.1;DigCompSAT)

- ვიცი, რომ სხვადასხვა საძიებო სისტემამ შეიძლება ძიების სხვადასხვა შედეგი მომცეს, ვინაიდან მათზე კომერციული ფაქტორები ახდენს გავლენას (ცოდნა/საშუალო დონე).
- როცა ამა თუ იმ საძიებო სისტემას ვიყენებ, შემიძლია ვისარგებლო მისი უპირატესი მახასიათებლებით (უნარი/საშუალო დონე).
- ვიცი, როგორ ვიპოვო ის ვებგვერდი, რომელსაც ერთხელ უკვე ვეწვიე (უნარი/საბაზო დონე).
- ვიცი, როგორ განვასხვაო შეკვეთილი მასალა სხვა შინაარსისაგან, რომელსაც ინტერნეტში ვპოულობ ან მიგზავნიან (მაგალითად, შემიძლია ამოვიცნო რეკლამა სოც. მედიასა ან საძიებო სისტემებში) (უნარი/საშუალო დონე).
- ვიცი, როგორ დავადგინო ინტერნეტში საინფორ-მაციო წყაროს მიზანი (მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება, გავლენის მოხდენა, გართობა ან საქონლის გაყიდვა) (უნარი/საშუალო დონე).
- კრიტიკულად ვაკვირდები, არის თუ არა ინტერნეტში ნაპოვნი ინფორმაცია სანდო (მიდგომა/საშუალო დონე).
- ვიცი, რომ ინტერნეტში ზოგიერთი ინფორმაცია ყალბია (მაგალითად, ყალბი ახალი ამბები) (ცოდნა/ელემენტარული დონე).

Digcomp2.2[14] ასევე გვთავაზობს მოსწავლეების ცოდნის შეფასებას სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისა და მოსწავლის მიერ ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული კონკრეტული დავალებების შესრულებაზე დაკვირვების მეშვეობით. სასწავლო პროცესში შესაძლებელია შევაფასოთ მოსწავლის მიერ (რთული) დავალებების შესრულებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები, ასევე მისი კოგნიტიური დონე. კომპეტენციებზე დაკვირვებისათვის აუცილებელია შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. შეფასების დროს გაითვალისწინეთ დავალების სირთულე, დამოუკიდებლობის ხარისხი და კოგნიტიური მხარე (იხ. ცხრილი 1) ან შეიმუშავეთ დეტალური კრიტერიუმები შემოთავაზებული აქტივობებისა და კონკრეტული დავალებების შესაბამისად.

დონე	დავალების სირთულე	დამოუკიდებლობა	კოგნიტური უნარები
საბაზო	მარტივი დავალებები	მასწავლებლის ხელმძღვანელობით/დამოუკიდებლად და საჭიროებისას ხელმძღვანელობით	დამახსოვრება
საშუალო	ნათლად ჩამოყალიბებული და სტანდარტული დავალებები, არაორაზროვანი ამოცანები/დავალებები და ნათლად ჩამოყალიბებული არაორდინარული ამოცანები	ჩემით/ დამოუკიდებლად და ჩემი საჭროების შესაბამისად	გაგება
მაღალი	სხვადასხვა დავალება და ამოცანა/ შესაფერისი დავალებები	სხვების დახმარება/ რთულ პირობებში ადაპტაციის უნარი	გამოყენება/ შეფასება/შექმნა

უფრო ადვილად გაარკვევთ, თუ რა სჭირდებათ მოსწავლეებს და დახვეწთ სასწავლო პროცესს, თუ დააკვირდებით, მაგალითად, გამოიმუშავეს თუ არა მოსწავლეებმა ინტერნეტში ძიების ეფექტიანი მეთოდები საკუთარი საჭიროებებისათვის (მაგალითად, პოპულარული ფილმების ნუსხის მოსაძებნად), სწავლის (მაგალითად, ისტორიული მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციების გამოსაკვლევად) ან პროფესიული მიზნით (მაგალითად, სასურველი სამუშაო განცხადებების საპოვნელად). შეგიძლიათ ასევე დააკვირდეთ, იციან თუ არა, როგორ გაუმკლავდნენ ინფორმაციის მოზღვავებას (მაგალითად, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ნაკადს ამა თუ იმ დაავადების გავრცელების დროს) საძიებო მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევის გზით.

რჩევა 15: მოსწავლეების კვლევის უნარის შეფასება

შეაფასეთ მოსწავლეების უნარი, ჩაატარონ უმთავრესი ციფრული საკითხების კვლევა. მაგალითად, მიეცით დავალება ჩაატარონ ონლაინკვლევა იმ ტექნოლოგიების ტიპების დასადგენად, რომლებიც ჩიპფეიკებისა და დიპფეიკების შესაქმნელად გამოიყენება. ამგვარი კვლევის უნარი მოსწავლეებს ნებისმიერი საგნის სწავლისას გამოადგებათ.

გაითვალისწინეთ...

- შეაფასებინეთ მოსწავლეებს მათ მიერ შეძენილი უნარის ხარისხი და მიღწეული პროგრესი. სთხოვეთ, დაისახონ მიზნები ციფრული წიგნიერების დასახვეწად.
- გამოიყენეთ საერთაშორისო სტანდარტი, მაგალითად, DigComp2.2.[15] ამ დოკუმენტის თარგმნა ევროკავშირის ყველა ქვეყნის ენაზე უკვე დაგეგმილია.
- გამოიყენეთ თანატოლების მიერ ურთიერთ-შეფასებისა და გამოკითხვის მეთოდები.
- როდესაც მოსწავლეები მცირე ჯგუფებად მუშაობენ, უნდა შეფასდეს როგორც ჯგუფის, ისე ცალკეული მოსწავლის შედეგი.
- შესთავაზეთ მოსწავლეებს კონტრპროპაგანდული კამპანიის შემუშავება რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წინააღმდეგ აგორებული დეზინფორმაციული კამპანიის საწინააღმდეგოდ. სხვა მოსწავლეებთან ერთად შეაფასეთ ამ კონტრპროპაგანდის „ძალა“ (რამდენად დამაჯერებელია და რატომ).

[14] იქვე

[15] https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/handle/JRC128415

[16] https://education.ec.europa.eu/selfie

ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული ეფექტიანი მიდგომების შეფასება

მოსწავლეების ცოდნის შეფასებასთან ერთად, ყოველთვის სასარგებლოა იმის გარკვევა, მოიტანა თუ არა თქვენმა პედაგოგიურმა მიდგომებმა სასურველი შედეგი. გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია. თუ გაკვეთილმა, პროგრამამ ან მისმა ნაწილმა შედეგი მოიტანა, მოსწავლეებმა სწავლის დასასრულს უკეთ უნდა უპასუხონ შეფასების მიზნით დასმულ ზემოხსენებულ შეკითხვებს; მაგალითად, უკეთ უნდა ამოიცნონ შეცდომაში შემყვანი სათაურები და შეძლონ ფაქტების გადამოწმება ინტერნეტში. ამ მხრივ, მეტი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შეადაროთ სწავლის დაწყებამდე და სწავლის დამთავრების შემდეგ მიღებული შეფასების შედეგები. თუ მოსწავლეების ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შეხედულებების შესაფასებლად იყენებთ ტესტებს, როგორც ეს მე-6 და მე-7 ველებშია აღწერილი, დაინახავთ, რა ისწავლეს და კიდევ რა სჭირდებათ მათ სწავლის დამთავრების შემდეგ.

აქ ისმის შეკითხვა: როგორ უნდა შევაფასო საკუთარი და/ან სკოლის ციფრული წიგნიერების პროგრამა (მაგალითად, რა საშუალებები გამოიყენება და რა მიზნით? რა ასპექტები შეიძლება და უნდა შეფასდეს? სად შეიძლება ვიპოვოთ არსებული სასარგებლო და საიმედო საშუალებები? ვინ უნდა ჩაებას შეფასების პროცესში?). შედეგები მრავალი გზით შეიძლება შეფასდეს, თუმცა, უმჯობესია, მოსწავლეების ცოდნა ქმედითი და საიმედო საშუალებებით შეაფასოთ. სასარგებლო ინფორმაციას მოგაწვდით მოსწავლეთა პასუხები შეკითხვებზე, თუ როგორ ასწავლიდნენ და რა ისწავლეს, თუმცა ანონიმური არ არის, ასეთი პასუხები ხშირად უზუსტოა. შესაძლოა, მოსწავლეები ნორმატიული წნეხის ქვეშაც იყვნენ, რაც მათ აიძულებს, კონკრეტული (სოციალურად სასურველი) პასუხები გასცენ. ამდენად, ციფრული წიგნიერების შედეგების შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა - რთული.

თუ გაქვთ შესაძლებლობა, თქვენ და თქვენს კოლეგებს შეგიძლიათ უფრო დეტალური შეფასება მიიღოთ იმ მკვლევრებთან თანამშრომლობით, რომლებიც დაინტერესებული არიან შეისწავლონ ციფრული წიგნიერების პრაქტიკაში გამოყენება.

რჩევა 16: ურთიერთობა უნივერსიტეტებთან

მასწავლებლებისაგან/პედაგოგებისაგან ეს ალბათ დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ უნივერსიტეტები, როგორც წესი, მზად არიან, რომ სტუდენტებმა და ასპირანტებმა პროგრამების (მათ შორის, ციფრული წიგნიერების) შეაფასებაში მიიღონ მონაწილეობა. თქვენთვის და სკოლისათვის ალბათ კარგი იქნება, თუკი ადგილობრივ უნივერსიტეტს (მაგალითად, კომუნიკაციების დეპარტამენტს) სათანამშრომლოდ დაუკავშირდებით. საბოლოო მიზანი სკოლაში ციფრული წიგნიერების სწავლებისა და მისი შეფასების მეთოდების გაუმჯობესებაა. ამგვარი გამოცდილება ხანდახან არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აქვთ.

გაითვალისწინეთ...

- შეგიძლიათ გაესაუბროთ სკოლის დირექტორს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან სკოლაში ციფრული წიგნიერების სწავლების შეფასებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის თაობაზე.
- სკოლისათვის შეფასების უფასო ან ძალიან იაფი საშუალებები შეგიძლიათ ინტერნეტში მოიძიოთ.
- შეგიძლიათ გამოიყენოთ ევროკავშირის SELFIE tool[16], რომელიც სკოლას სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

დაბოლოს, მოსწავლეთა ციფრული წიგნიერების, ასევე თქვენი და თქვენი კოლეგების მიერ გამოყენებული პროგრამებისა თუ მიდგომების შესაფასებლად უამრავი მეთოდის გამოყენებაა შესაძლებელი. საამისოდ თქვენს ხელთ უკვე ძალიან ბევრი სანდო საშუალებაა (ძირითადად, უფასო).

რესურსის თაობაზე

თუ დამატებით სხვა საგანმანათლებლო რესურსიც დაგაინტერესებთ, ამ გზამკვლევის დანართში - საბოლოო ანგარიში - გრძელ ნუსხას იპოვით.

Publications Office
of the European Union